

სპილენძის არქეომეტალურგია მთიან
კოლხეთში (ლექხუმი-ქვემო სვანეთი):
გადნიდან ლითონამდე

რუსუდან ჩაგელიშვილი • ნინო სულავა • ნანა რეზესიძე
თამარ ბერიძე • ბრაიან გილმორი • ნიკა ტატუაშვილი

**THE ARCHAOMETALLURGY OF COPPER IN THE MOUNTAIN
REGIONS OF COLCHIS (LECHKHUMI-KVEMO SVANETI), GEORGIA:
FROM ORE TO METAL**

Rusudan Chagelishvili • Nino Sulava • Nana Rezesidze • Tamar Beridze • Brian Gilmour • Nika Tatuashvili

FR-19-13022 პროექტის საბოლოო ანგარიში
THE FINAL REPORT OF THE PROJECT FR-19-13022

თბილისი / 2020-2023 / Tbilisi

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

GEORGIA NATIONAL MUSEUM



თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი	4
მიზანი	5
1.საველე სამუშაოები	
1.1.გეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები	6
– დოღურაშის მადანგამოვლინება	8
– ოფიტარა-ოყურეშის მადანგამოვლინება	10
– მდინარეების მურისდელის, მოქაულისდელისა და ძულურისდელის ხეობები	16
– მდინარე რიონის ხეობა, კორვაში	20
– გეოლოგიური სამუშაოების შედეგები	21
1.2.არქეომეტალურგიული სადაზვერვო სამუშაოები	24
– ჭიქელაში	25
– ოყურეში	31
– შავბინულა	35
– გვიმბრალა	36
– ოფიტარა	37
– ლითონის სადნობი სახელოსნოების პალინოლოგია	38
– ლითონის სადნობი სახელოსნოები ფიზიკურ რუკაზე	41
2. კამერალური სამუშაოები	
2.1.წიდების და ტექნიკური კერამიკის ტიპოლოგიური კვლევა	43
2.2. პეტროგრაფიული ანალიზი	
– წიდების პეტროგრაფია	50
– წიდების პეტროგრაფიული ანალიზის შედეგები	56
– მინერალიზებული ქანების პეტროგრაფია	60
– ქანების პეტროგრაფიული ანალიზის შედეგები	67
2.3.რადიოკარბონული (C14) ანალიზი.....	68
2.4.რენდგენოფლოურესცენტული სპექტრომეტრული (XRF) ანალიზი	69
2.5.ატომურ-აბსორბციული ანალიზი (AAS).....	70
2.6.პალინოლოგიური ანალიზი	73
– არტეფაქტების პალინოლოგიური ანალიზის შედეგები	74
– თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური ანალიზი	80
– გარემო პირობები და ადამიანის საქმიანობა გვიანბრინჯაოს ხანაში	85
2.7.ნახშირების მაკრობოტანიკური ანალიზი	89
შედეგები.....	90
გამოყენებული ლიტერატურა	179

შესავალი

გეოლოგიური მონაცემების მიხედვით საქართველოში სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონიტის და პოლიმეტალური 200-ზე მეტი საბადო და მათი ზედაპირული გამოსავალია ცნობილი. თითქმის ყველა მთავარ საბადოზე დადგენილია პრეისტორიული მადნის მოპოვებისა და დამუშავების კვალი. კერძოდ, ასეთ რეგიონებს განეკუთვნება აფხაზეთის, რაჭის, კახეთის (ალაზნის ზემო წელი) მადანმოპოვებელ-მეტალურგიული ძეგლები (კავკასიონი) და ბოლნისი-დმანისის და აჭარა-გურიის ძეგლები (მცირე კავკასიონი). აღნიშნულ ტერიტორიაზე თავმოყრილია სპილენძის გამადნების აფხაზეთის, სვანეთის და რაჭის ზონები. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ კავკასიონის ქედის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ წყვეტილად და გაბნეულად გავრეცელებულ მცირე საბადოთა სისტემებს.

საკვლევის ობიექტი, საქართველოს მთიანი რეგიონი (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი), აქ აღმოჩენილი ლითონის არტეფაქტების - წარმოების ნარჩენების (წიდეები, ტექნიკური კერამიკა და სხვა) და დასრულებული არტეფაქტების (ზოდები, განძები, ანთროპომორფული და ზომომორფული ფიგურები, საბრძოლო იარაღი და სამეურნეო იარაღი) გვიან ბრინჯაოს კოლხური კულტურის ნაწილად და უძველესი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს კერადაა მიჩნეული (Сахарова, 1966). ადრეული სამთო საქმიანობის კვალი უფრო მეტად გვხვდება ჩრდილოეთით, მაღალმთიან ზონაში (ზემო რაჭა-ზემო სვანეთი), ზღვის დონიდან 2500-3000 მეტრზე, და ნაკლებად არის ცნობილი ქვედა ზოლში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1000-2000 მეტრზე (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) (გობეჯიშვილი, 1962).

2013-2015 წლებში მიმდინარე საქართველოს ეროვნული მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციებისას აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრე უცნობი სპილენძის სადნობი სახელოსნოები, რაც პირდაპირი მინიშნება იყო პრეისტორიული სპილენძის მოპოვება-დამუშავების სიახლოვეზე. 2016-2018 წლებში არქეოლოგიური კვლევები და საწყისი ეტაპის გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (#FR-16-217128) ფარგლებში. მოხდა სავარაუდოდ გვიან ბრინჯაოს ხანის სპილენძის 20-ზე მეტი სადნობი სახელოსნოს ადგილმდებარეობის დაფიქსირება, რუკაზე დატანა და დოღურამის ჯგუფში შემავალი ძეგლების გათხრა (სურ. 39). მონაპოვრები მოიცავდა მადნის ნაწილობრივ დამდნარ ფრაგმენტებს, ლითონის სადნობი ქურის ნაშთებს, წიდეებს, ტექნიკური კერამიკის ფრაგმენტებს. გეოქიმიური ანალიზებით დადასტურდა, რომ ყველა ამ

ძეგლზე დნებოდა სპილენძი. დოლურაში I-ის რადიოკარბონულმა დათარიღებამ კი აჩვენა, რომ იგი ფუნქციონირებდა დაახლოებით ჩვ. წ. XIII-IX საუკუნეებს შორის პერიოდში (Rezesidze et al., 2018).


მიზანი

წარმოდგენილი არქეომეტალურგიული პროექტის მიზანი ახლად აღმოჩენილი და ჯერ კიდევ შეუსწავლელი მთიან კოლხეთის (ლექხუმი-ქვემო სვანეთი) გვიან ბრინჯაოს ხანის სპილენძის დნობის ინდუსტრიის გამოვლენა, გამოკვლევა და დათარიღებაა; მადნის მოპოვება-დამუშავებასა და ლითონის დნობას შორის კავშირის დადგენა; თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით მადანშემცველი ქანების, მეტალურგიული ნარჩენებისა და არტეფაქტების შესწავლა; ადგილობრივად წარმოებული სპილენძის ნედლი მასალის წყაროს, უძველესი მადარობის გამოვლენა, დადგენა და დახასიათება.

რეგიონის გეოლოგიასა და მეტალოგენიაზე არსებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ ქვემო სვანეთსა და ლექხუმში დღემდე გამოვლენილი ყველა არქეომეტალურგიული ძეგლი თავმოყრილია კავკასიონის სამხრეთ ფერდის მეტალოგენიურ სარტყელში სადაც სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონიტის და სხვა პოლიმეტალური საბადოები და მათი ზედაპირული გამოსავლება ცნობილი (Природные ресурсы Грузинской ССР, Том I 1958; ჯანელიძე 1965; Геология СССР, Том X.1974; Твалчრელიძე და სხვ., 1982). ყველა არსებული საბადო/მადანგამოვლინება რეგიონალური ტექტონიკური რღვევების გასწვრივ მდებარეობს და უკავშირდება ქვედა/შუა იურულ ვულკანურ და ვულკანოგენურ-დანალექ წყებებს და მათ გამკვეთ ჰიპაბისურ მაგმურ სხეულებს (ბერიძე 1983).

საკვლევი რეგიონი კავკასიონის სამხრეთ ფერდის მეტალოგენიური სარტყლის – ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლექხუმის მადნიანი კვანძის არეალშია მოქცეული (სურ. 1), სადაც წარსულში გამადნების გავრცელების ზონებში 1907-1990 წლებში მრავალი საძიებო და აგეგმვითი სამუშაოებია ჩატარებული. აღნიშნული სამუშაოების ანგარიშების დასკვნების მიხედვით, ტერიტორიაზე არსებული მცირე საბადოთა სისტემები თანამედროვე გადმოსახედიდან მადნის მოპოვებისათვის ნაკლებად შესაფერისი და არარენტაბელურია. თუმცა, 30-წლიანი პაუზის შემდეგ, 2021 წელს გაიცა ლიცენზია რცხმელურის მადნიანი ველის მეტალოგენიური კვლევაზე მათი სამრეწველო პოტენციალის შეფასების მიზნით. პროექტით საკვლევი ძეგლი სადნობი სახელოსნოების უმეტესობა სწორედ რცხმელურის მადნიან ველშია კონცენტრირებული. ლექხუმი-ქვემო სვანეთის მიდამოებში მადნის ადრეული

პერიოდის ექსპლუატაციის არსებობის შესახებ არაერთ გეოლოგიურ ანგარიშშია მითითებული. მიუხედავად იმისა, ამ მიმართულებით ჩატარებული გეოარქეოლოგიური სამუშაოები ნაკლებად არის ცნობილი.



სურ. 1. საქართველოს ტექტონიკური და მეტალოგენური დარაიონების რუკა (ე. გამყრელიძე და სხვ., 1998 წ.)


პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევები ეფუძვნება: საველე-სადაზვერვო ექსპედიციებსა და კამერალურ-ლაბორატორიულ კვლევებს.

1. საველე სამუშაოები

1.1. გეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები

გეოლოგიური სამუშაოები მოიცავდა პრეისტორიული სადნობი სახელოსნოების მიმდებარედ გავრცელებული ქანების გეოლოგიურ შესწავლას, არსებული მინერალიზაციების გამოვლენას და შეცვლილი ზონების ნიმუშების დასინჯვა/შეგროვებას ანალიზების ჩასატარებლად; სამთო გამონამუშევრების აღმოჩენის მიზნით რელიეფის ფორმებზე დაკვირვებას;

2020-2022 წლებში ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე საველე-სადაზვერვო გეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა სოფლების დოღურაშის, ოფიტარას (მდ. რთხმელებისღელე, მდ. შავიღელე), ოყურემის (ადგ. დიდლოდეები და სათიბები), რცხმელურის (ადგ. შავბინულა), გვიმბრალას (ადგ. ჟიბე მოლი), გვესოს (ადგ. ჭიქელაში), დღნორისას (ადგ. კორვაში), ლუხვანოს (ადგ. გვერდისთავი) მიდამოებსა და მდინარეების მურისღელეს, მოქვაულისღელესა და ძულურისღელეს ხეობებში (სურ. 2).



სურ. 2. პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების არეალის სატელიტური ფოტო

ზემოთჩამოთვლილი ადგილები მდინარე ცხენისწყლის ხეობაში, ლეჩხუმის ქედის დასავლეთ კიდის სამხრეთ ფერდობებზე, ეგრისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე და ხვამლის კირქვული მასივის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 700-1500 მეტრ სიმაღლეებზე მდებარეობს. აქ საკმაოდ რთული და დანაწევრებული რელიეფია, მრავალი ღრმა ხეობით, ხშირი ფართოფოთლოვანი ტყითა და ქვეტყით დაფარული ციცაბო ფერდობებით (<60-70°). არსებული ბუნებრივი პირობები ძალიან ართულებს სამთო-სადაზვერვო სამუშაოებს მინერალიზირებული უბნების, ძველი არქეომეტალურგიული ობიექტების, თუ, სამთო გამონამუშევრების გამოვლენას.

საკვლევ ტერიტორიაზე, გეოლოგიური დაზვერვების შედეგად, გამოვლინდა ორი მკვეთრად მინერალიზებული უბანი, სადაც მეტ-ნაკლებად შესაძლებელია გამადნების პროცესებზე დაკვირვება და მინერალიზებული/ლითონის შემცველი ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევებისთვის. ესენია: (1) ლეჩხუმის უკიდურეს ჩრდილოეთით მდინარე დოღურაშისღელის ხეობა და (2) უკიდურესი სამხრეთით, სოფლების ოფიტარა-ოყურემის მიდამოების მადანგამოვლინება.

(1) დოღურაშის მადანგამოვლინება

დოღურაშის პოლიმეტალების მადანგამოვლინება ცაგერის მუნიციპალიტეტის უკიდურეს ჩრდილოეთით, მდინარე ცხენისწყალის მარჯვენა შენაკადის მდინარე დოღურაშის ხეობაში, ზღვის დონიდან 700-1200 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, რცხმელურის მადნიანი ველის დასავლეთით 4-5 კმ-ში. ამ მიდამოებშია აღმოჩენილი დოღურაშის ჯგუფის არქეომეტალურული ობიექტები (დოღურაში I, II, და III), რომელთა ასაკი რადიოკარბონული მეთოდით ძვ. წ. XIII-IX საუკუნეებით განისაზღვრა. პირველი ცნობები დოღურაშის პოლიმეტალური მადანგამოვლინების შესახებ გ. ბარკალაიას 1940 წლის ანგარიშშია მოცემული; 1952-1961 წლებში გეოლოგიის ინსტიტუტის ჯგუფი, ვ. გვახარიას ხელმძღვანელობით, იკვლევდა რცხმელურის საბადოთა ჯგუფს, რომელშიც შედის დოღურაშის მადანგამოვლინება (ჩხიკვიშვილი 1951; ივანიცკი., 1954; ჩხეიძე., 1958-59 და სხვა). ბოლო ცნობები დოღურაშის მადნიანი ზონის შესახებ გვხვდება თ. ჯანელიძის (1965) სადისერტაციო ნაშრომში. მათი ანგარიშებიდან ჩანს, რომ დოღურაშის მადანგამოვლინების პერსპექტივა არ არის ნათელი და მარღვების/ლინზების მცირე მანძილებზე გამოსოფლის გამო დოღურაშის მადანგამოვლინებას პრაქტიკული ინტერესი არ აქვს.

დოღურაშის მადანგამოვლინების მიდამოების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებს ზედა ლიასური ქვიშიან-ფიქლებიანი წყება (შრეთა დაქანება სამხრეთ დასავლური, >70-80°), რომლებიც გაკვეთილია კვარცპორფირებისა და დიაბაზების ინტრუზივებით (დაიკებითა და სილებით). დოღურაშისა და მის შენაკადების ხეობებსა და ფერდობებზე დელუვიური და ალუვიური ნალექები ფართოდაა გავრცელებული და დაფარულია ხშირი მცენარეული საფარით, რაც ხელს უშლის ქანთა ბუნებრივ გამოსავლებზე დაკვირვებას.

მდინარე დოღურაშისღელის მარცხენა ნაპირზე, პორფირული კვარც-დიორიტული (საბჭოთა ტერმინოლოგიით-დიაბაზი) სხეულისა და ქვედა იურული ქვიშაქვების კონტაქტის ზოლში დავაფიქსირეთ ჰიდროთერმულად შეცვლილი ქანების ზონა. იქვე, დოღურაშისღელეს მესამე მარცხენა შენაკადის ხეობაში მდებარეობს საბჭოთა

პერიოდში პოლიმეტალური მადნების საძიებო სამუშაოებისას გაყვანილი შტოლნა (42°40'41.4"N, 42°46'58.7"E h=743მ). იგი პორფირული კვარც-დიორიტებისა და ქვიშაქვების კვეთის ზონაშია (აღმავალ ჭრილში იგი კვეთს ფიქლებს) გაყვანილი. შტოლნის შესასვლელსა და მიმდებარე ზონაში, დაახლოებით 20-30 მეტრის არეალში ქანები ძლიერ არის შეცვლილი –გაკვარცებული, გამოჟანგული და დამსხვრეულია (ეს უკანასკნელი უმეტესად პერიფერიაზე შეინიშნება) (სურ. 3). შეცვლილ ზონაში დაფიქსირდა ცალკეული მადნეული მარღვაკები, ბუდობები და ზოგან მცირე ზომის ლინზები, რომელიც კონტაქტის გასწვრივ მცირდება და ბოლოს ისოლება. მათი სიმძლავრე 0,10 სმ-დან 15 სმ-მდეა. მარღვაკებში მადნეული მინერალებიდან გვხვდება ძირითადად პიროტინი და მცირე რაოდენობით ქალკოპირიტი და სფალერიტი, იშვიათად გალენიტის ჩანართები.



სურ. 3. საბჭოთა პერიოდში გაყვანილი შტოლნა და მისი მიმდებარე ადგილები, სადაც მინერალიზირებული ქანები დაისინჯა. სოფ. დოღურაშის ჩრდილო-აღმოსავლეთი

მარღვის ძირითადი არამადნეული მინერალია კვარცი, იშვიათად გვხვდება კალციტიც. დაიკასთან კონტაქტის ზონაში ქვიშაქვები და ფიქლები პირიტიზირებულია. საკვლევ ადგილას (დ. წ. # 677) ჩანს, რომ გამადნება

არათანაბარია, სუსტი და წარმოადგენს ღია ნაპრალების ჰიდროთერმალური ხსნარებით ამოვსების ტიპს.

დოღურაშის მინერალიზაციის შესწავლისთვის და დოღურაშის ჯგუფის არქეომეტალურგიულ ობიექტებზე აღმოჩენილ არტეფაქტებთან შესადარებლად საბჭოთა პერიოდში გაყვანილი შტოლნისა და მის მიდამოებში არსებული მინერალიზებული ქანები შეგროვდა სხვადასხვა ანალიზებისთვის. (იხ. თავი: კამერალური სამუშაოები; დოღურაშის ნიმუშების აბრევიატურაა – Dog/D).

(2) ოფიტარა-ოყურეშის მადანგამოვლინება

სოფელი ოფიტარა ლეჩხუმის უკიდურესი სამხრეთით, ქუთაისი-ცაგერი საავტომობილო გზიდან დაახლოებით 4 კმ-ში, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ტერიტორია დოღურაშის მიდამოების მსგავსად აგებულია შუა იურული - ბაიოსის პორფირიტული წყების ქანებით, რომელსაც თანხმობით ცვლის ცარცული პერიოდის კარბონატული ნალექები.

ინფორმაცია სოფელ ოფიტარას მიდამოებში სპილენძის მადანგამოვლინებების არსებობისა და ამ ნედლეულის ბრინჯაოს მეტალურგიაში გამოყენების შესახებ ჯერ კიდევ 1907 წლიდან გვხვდება გეოლოგ გ. ბართოლომეევის ანგარიშში. ოფიტარას მადანგამოვლინებებს იკვლევდნენ: 1910-11 წლებში ა. ჩიკვაიძე; 1919 წელს ლ. კონიუშევსკი; 1931 წელს ა. კალანდაძე; 1932-33 წლებში გ. ტოგონიძე, რომლის ანგარიშის მიხედვით ოფიტარაში გამოყოფილია მეტნაკლებად პერსპექტიული მლაშე ფერდის, შავლელეს, თეთრი წყაროსა და თეთრი ღელეს უბნები. სპილენძის ყველა არსებული მადანგამოვლინება არაპერსპექტიულად იქნა მიჩნეული, რადგან თითქმის ყველა მათგანი წარმოადგენდა პირიტით ღარიბ მადნებს, იშვიათად ქალკოპირიტის მინარევით; 1933 წელს სოფელ ოფიტარაში, ბაიოსურ პორფირიტულ წყებაში, ნ. ბეჟანიშვილმა აღწერა სპილენძის სამი მადანგამოვლინება, რომელიც ძირითადად პირიტით, ქალკოპირიტით, ბორნიტითა და მარკაზიტითაა წარმოდგენილი. ნ. ბეჟანიშვილის დასკვნის თანახმად, ყველა მადანგამოვლინება არასამრეწველო მნიშვნელობისაა.

ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ანგარიშის ავტორი აღნიშნავს, რომ რაიონი მდიდარია წიდეების გროვებით, რომლებიც სპილენძის დნობის უძველესი პროცესის შედეგი უნდა ყოფილიყო. ოფიტარას მიდამოებში აღმოჩენილ წიდეებს ყველაზე მეტი ყურადღება გეოლოგმა პ. თოფურიაშვილმა მიაქცია. 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში -

„რაჭისა და ლეჩხუმის წიდეები“ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე სპილენძის დნობის ბაზა არსებობდა, სადაც მოპოვება კუსტარულ ხასიათს ატარებდა. მისი აზრით, აქ არსებული მცირე ზომის მადანგამოვლინებები საკმარისი იყო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პ. თოფურია აღნიშნავს, რომ წიდეების პოვნის ადგილები ძირითადად ბაიოსური პორფირიტული სერიის გავრცელების ზოლთანაა დაკავშირებული და იგი იძლევა რეკომენდაციას უფრო დეტალური ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

მდ. შავიდელე (სოფ. ოფიტარა)

მდინარე შავიდელე სათავეს ხვამლის მასივის დასავლეთ კალთაზე იღებს. სოფელ ოფიტარაში იგი შუა იურული (ბაიოსური) ასაკის პორფირიტებში, ტუფებში, ტუფბრექჩიებში, ტუფქვიშაქვებში, ქვიშაქვებსა და ფიქლებში მოედინება. მდ. შავიდელეს საკმაოდ ვიწრო და ხშირი მცენარეული საფარით დაფარული ხეობა აქვს, რომელიც რამდენიმე ადგილას დამეწყრილია და ჩახერგილია დიდი ლოდებით, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის მდინარის ხეობაში და მის ნაპირებზე არსებულ ბუნებრივ გამოსავლებზე დაკვირვებას (სურ. 4).



სურ. 4. მდინარე შავიდელეს ხეობა, სოფელი ოფიტარა

მიუხედავად ამისა, რამდენიმე ადგილას მოხერხდა მინერალიზირებული უბნების დაფიქსირება; ბაზალტებისა და კვარცხანის დიორიტის სხეულის კონტაქტის ზოლში ($42^{\circ}30'27.5''N$, $42^{\circ}38'39.1''E$, $h=475m$.) არსებული ქანები ძლიერ არის შეცვლილი, დამსხვრეული, დაბრექჩირებული. ვლინდება ქანთა ინტენსიური შეცვლის შემდეგი პროცესები: ქლორიტიზაცია (ჰიდროთერმული ფლუიდების მოქმედების შედეგად პიროქსენების გარდაქმნა ქლორიტებად), ეპიდოტიზაცია (პლაგიოკლაზის გადასვლა ეპიდოტში), პელიტიზაცია, რომელიც პლაგიოკლაზის გათიხების შედეგია და

გამადნებულ უბნებთან ახლოს უფრო ინტენსიურია, პირიტიზაცია და სერიციტიზაცია. მსხვრევის ზონაში ძარღვებში არსებული სიციხეები ამოვსებულია მეორადი მინერალებით: სულფიდებით - ქალკოპირიტით, ქალკოზინით, პირიტითა და რკინის ჰიდროქსიდებით (სურ. 5). აღნიშნული ადგილიდან შეგროვდა მადნის შემცველი და მინერალიზებული ქანის ნიმუშები ლაბორატორიული კვლევებისთვის.




სურ. 5. ინტენსიურად შეცლილი, მინერალიზირებული და დაბრექირებული ქანები მდინარე შავილელეს ხეობაში

მდ. რთხმელებისღელე (სოფ. ოფიტარა)

2017 წელს, სოფელ ოფიტარას შესასვლელში, მდინარე რთხმელებისღელეს ვიწრო ხეობაში, საავტომობილო გზიდან 100 მეტრში მდებარე ჩანჩქერთან ახლოს სამი სამთო გამონამუშევარი დაფიქსირდა (306316 N; 4708054 E; h=394). სამთო გამონამუშევრები

გაჭრილია იურულ ასაკის დაბრექჩირებულ, ინტენსიურად მინერალიზირებულ, შეცვლილ დიაბაზებში. ქანები უმეტესად გაქლორიტებულია, გვხვდება ლიმონიტიზირებული უბნები, დასერილია მრავალი კალციტისა და კვარცის ძარღვით, სადაც ჩანს მადნეულ მინერალთა - ქალკოპირიტის, პირიტის და გალენიტის ჩანართები (სურ. 6);



სურ. 6 ა) შეცვლილი, მინერალიზირებული ქანები; ბ) და გ) კალციტისა და კვარცის ძარღვები მეტალთა ჩანართებით; რთხმელების ღელე

2020 წლის საველე სამუშაოებისას მდინარე რთხმელებისღელის ხეობაში ერთმანეთთან ახლოს მდებარე სამი სამთო გამონამუშევარის (სურ. 7) შესწავლით დაადგინდა, რომ სამი მაღაროდან ერთი, (#1), რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე კალაპოტიდან 0.7 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ტიპური საბჭოთა პერიოდის შტოლნაა - მაღალი, უსწორმასწორო შესასვლელით, შიდა კუთხოვანი კედლებითა და ჭერით, რომელიც ამონალით აფეთქების შედეგად მიიღება (17x 1.5x1,8მ.). #1 მაღარო

მკვეთრად განსხვავებულია მის მოპირდაპირე მხარეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე, კალაპოტიდან 2,5 მეტრ სიმაღლეზე, ერთმანეთისგან 4 მეტრის დაშორებით მდებარე # 2 და # 3 მაღაროებისაგან. მათი შესასვლელი (გარე კონტური) მრგვალია, გლუვზედაპირიანი კედლებით და მცირე სიმაღლით. # 2 მაღარო (3x2,3X1,1მ.) თითქმის ჭერამდე, მდინარის მიერ წყალუხვობის დროს შემოტანილი სედიმენტებითა (მოყვითალო და ღია ჟანგისფერი მსხვილმარცვლოვანი მინერალიზირებული ქვიშა) და ზემოდან ჩამოშლილი, გამოფიტული/დაშლილი ქანითაა ამოვსებული. მის გვერდით მდებარე #3 მაღაროს (27x2X1,1-1,8.მ.) შესასვლელი ანალოგიურია # 2-ის - მრგვალი, ერთგვაროვანი გლუვი ზედაპირითა და მცირე სიმაღლით, რომელიც სიღრმეში 1, 5 მეტრის შემდეგ რადიკალურად იცვლება. მაღაროს კედლების ფორმა ხდება კუთხოვანი და იმატებს სიმაღლე. რაც გვამლევს საფუძველს ვივარაუდოდ, რომ გასულ საუკუნეში, ძველი მაღარო შემდგომი გამოყენების მიზნით ამონალით აუფეთქებიათ.



სურ. 7. სამი სამთო გამონამუშევარი მდინარე რთხმელების ღელეში (ოფიტარა)

ზემოთაღნიშნული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ # 2 და # 3 მაღაროები აგებულებით პრეისტორიული ხანის მაღაროების მსგავსია, რომელთა ანალოგებიც

არსებობს (სურ. 8), საიდანაც მადნის ექსტრაქცია სავარაუდოდ ცეცხლისა და პრიმიტიული იარაღებით ხორციელდებოდა (Hauptmann 2007). ძლიერი მინერალიზაციისა და ჰუმიდური გარემოს გამო მადაროს შემავსებელი სედიმენტი ერთგვროვან მასადაა ქცეული. აღნიშნული პირობების გამო შეუძლებელია მადაროს კედლებზე მადნის მოპოვების კვალი შენარჩუნებულიყო. ამას გარდა, მთის მდინარის სეზონური წყალუხვობის შედეგადაც აღნიშნული მადაროები პერიოდულად ირეცხება, რაც ამცირებს ამ მადაროებში პრეისტორიული კვალის ნახვის შესაძლებლობას.



ა



ბ



გ



დ

სურ. 8. ტიპიური მრგვალი სიდრუეები, რომელიც მადნის მოპოვებისთვის ქანზე ცეცხლის გამოყენების შედეგად წარმოიქმნება. ა) Mauk E - ავსტრია, ძვ. წ. VIII ს.; ბ) ბრინჯაოს ხანის



მალარო, კუნძული როსი (ირლანდია); რთხმელების ღელეს სამთო გამონამუშევარი #2 გ)
გაწმენდამდე; დ) გაწმენდის შემდეგ

სამივე სამთო გამონამუშევარი დაისინჯა, ასევე მისი მიმდებარე ბუნებრივი გამოსავლებიდან შეგროვდა მინერალიზირებული ქანთა ნიმუშები პეტროქიმიური ანალიზებისთვის (იხ. თავი: კამერალური სამუშაოები; ოფიტარას ნიმუშების აბრევიატურაა – Op).

მდინარეების მურისღელის, მოქაულისღელისა და ძულურისღელის ხეობები

2021 წლის გეოლოგიური-სადიებო სამუშაოები ცაგერის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით, მდინარეების მურისღელის, მოქაულისღელისა და ძულურისღელის მიდამოებში ჩატარდა. აღნიშნული მდინარეები სათავეს ლეჩხუმის ქედის დასავლეთ კიდის სამხრეთი ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1700-1500 მეტრზე იღებენ. მდ. მურისღელე მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადია, ხოლო მდინარეები მოქაულისღელე და ძულურისღელე მდ. ლაჯანურის მარჯვენა შენაკადები. მდინარეები ვიწრო ღრმა ხეობაში მოედინება, დამახასიათებელი მკვეთრი ვარდნითა და ზოგიერთ ადგილებში ჩანჩქერებით. აქ გავრცელებულია ქვედა იურულ (ლიასურ) ქვიშიან-ფიქლებიანი სერია და შუა იურული ასაკის ავგიტ-ლაბრადორიანი ტუფბრექჩები და ტუფოგენური ქვიშაქვები. აღნიშნული ტერიტორია დოღურაშის არქეომეტალურული ძეგლების აღმოსავლეთი გაგძელებაა, იქ სადაც ჩვენი ჯგუფი გათხრებს აწარმოებდა და რამდენიმე მინერალიზირებული ზონა გვაქვს დაფიქსირებული და დასინჯული.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გ. ბარკალაიას 1941 წელს პოლიმეტალურ მადნებზე ჩატარებულმა სადიებო-გეოლოგიურ ანგარიშზე თანდართულმა სქემატურმა რუკებმა, რომელზეც დატანილია უძველესი სადნობი პუნქტები და მადნის სადიებო-სატესტო თხრილები (სურ. 9 ა, ბ). წარსულში ჩატარებული გეოლოგიურ-სადიებო სამუშაოებით ამ მიდამოებში გამოვლენილია დიდ ფართობზე გავრცელებული მცირე მასშტაბის სპილენძ-პოლიმეტალური მადანგამოვლინებები, რომელთაც არასამრეწველო მნიშვნელობისაა.



სურ. 9 ა) მურისღელის სქემატური რუკა; ბ) მდინარეების მოქვაულისღელისა და მულურისღელის სქემატური რუკა. შედგენილია ცაგერის სადაზვერვო-გეოლოგიური პარტიის ინჟინერ-გეოლოგის გ. ბარკალაიას მიერ 1941 წელს. რუკაზე დატანილია ძველი სადნობი პუნქტები (შავი სამკუთხედები) და პოლიმეტალური მადნების გამოვლენის ადგილები

სქემატური რუკის (სურ. 9 ა) მარშრუტის მიხედვით დაზვერვები ჩატარდა მდინარე მურისღელეს ხეობაში - მდ. ფარელისწყლის (მურიღელეს შენაკადი) მიდამოებში (ადგილი კოხილაში) და მდ. მურიღელეს რამდენიმე სხვა უსახელო ღელეში;

მდინარის სათავეებისაკენ სადაც გასული საუკუნის ბოლოს საქონლის საზაფხულო სამოვრები და ასევე სათიბები იყო, რადგანაც ასეთი ადგილებში უფრო მეტი ბუნებრივი გამოსავლების ნახვის შესაძლებლობაა. ჩვენი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა წიდებისა და მინერალიზირებული უბნების ძებნაში, რადგან ის ადგილებიც კი, სადაც ადრე სამოვრები იყო ამჟამად ახლადამოსული ტყითა და ხშირი მცენარეული საფარითაა დაფარული. მდინარის ფერდობები კი - მძლავრი დელუვიური მასალით (სურ. 10 ა, ბ, გ).



სურ. 10 ა) მდ. მურისლელეს ხეობა, ხედი მურის ციხიდან; ბ) მურისლელეს სათავეები; გ) ძველი სათიბები მურისლელეს სათავეებში, რომელიც ამჟამად ახლაგაზრდა ტყითაა დაფარული

არსებული ბუნებრივი პირობების გამო ნათელი გახდა, რომ ქანთა ბუნებრივი გამოსავლებისა და პრეისტორიული სადნობი ძეგლების აღმოჩენა ძალიან გართულდებოდა. ამიტომ, ნიმუშების დასინჯვა/შეგროვება გადაწყდა სამივე მდინარის ხეობის შედარებით გაშლილ ადგილებში, იქ სადაც მდინარეული/ალუვიური ნალექები გროვდება. მდინარე მურისლელე ყველაზე

განიერი მურის ციხის ძირში, მდინარე ცხენისწყლის შესართავიდან 500-მეტრშია, სადაც მცირედ მინერალიზებული მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეგროვდა (სურ. 11).



სურ. 11. მდ მურისლელეს ხეობის ალუვიონი, მდ. ცხენისწყლის შესართავთან ახლოს



სურ. 12 ა) მდ. მოქვაულისღელის ხეობა; ბ) მდ. მოქვაულისღელის და მდ. ლაჯანურის შესართავი, სადაც შეგროვდა ნიმუშები (ფოტოს ავტორი ვ. მამიაშვილი)
დაისინჯა მდინარე ძულურისღელეს ალუვიონი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მოქვაულისღელესა და ლაჯანურის შესართავი (სურ. 12), სადაც შეგროვდა მინერალიზირებული ქანთა (ფიქლები, ალევროლითები და კვარცის ძარღვები)

ნიმუშები, რომლებშიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს მადნეულ მინერალთა ჩანართები.

მდინარე რიონის ხეობა - კორვაში (5)

მდინარე რიონის ხეობაში, რაჭის ქედის სამხრეთ ფერდზე, სოფელ დღნორისაგან ჩრდილოეთით, ადგილ კორვაშისკენ (319010N; 4705082E; h=987) მიმავალ გზაზე იკრიფება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ზომისა და ფორმის (უმეტესად ოვალური), მაღალი ხვედრითი წონის მქონე კონკრეციები (სურ. 13 ა). მსგავსი კონკრეციები ყოველთვის იწვევდა ინტერესს მოსახლეობაში. არსებობს აზრი, რომ ისინი მეტეორიტული წარმოშობისა, რადგანაც დედამიწის ზედაპირზე დიდხანს ყოფნისას მათი ზედაპირი ბრწყინავს, რის გამოც მეტეორიტის გამლღვალი ქერქის შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 13 ბ).




სურ. 13 ა) გზა კორვაშისკენ, სადაც მოფანტულია ოქსიდიზირებული კონკრეციები (აგურისფერი წრეებით მოთითებულია კონკრეციები); ბ) კონკრეციები თიხაში; გ) საანალიზოდ შეგროვებული კონკრეციების ნაწილი; სოფელი დღნორისა

კორვაშის მიდამოებში გავრცელებულია ქვედა ცარცული ნალექები, მეტწილად კირქვები, რომელიც მცირე სიმძლავრის მოწითალო-ყანგისფერი თიხებთან მორიგეობენ. სწორედ ასეთ თიხებში *in situ* მდგომარეობაში ვნახეთ აღნიშნული ჰემატიტის კონკრეციები (სურ. 13 გ). მათი დადგენა პირველ ეტაპზე ხაზის ფერით (წითელი) მოხდა. იგივე დადასტურა პეტროგრაფიულმა კვლევებმაც, ხოლო კონკრეციების გეოქიმიური (AAS) ანალიზით ჩანს, რომ მასში რკინის შემცველობა ძალიან მაღალია - 294 კგ/ტ. (იხ. კამერალური ნაწილი, ცხრილი #3), რაც ნიშნავს, რომ რკინის წარმოებისთვის საუკეთესო ნედლი მასალაა. რკინის (ჰემატიტის) კონკრეციები წარმოიქმნება ზღვის აუზში, რკინით მდიდარი ხსნარებიდან გამოილექვის შედეგად, უმეტესად რკინის სულფიდების - პირიტისა და მარკაზიტის დაჟანგვის გამო.

სადაზვევო გეოლოგიური სამუშაოების შედეგები

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული მცირე მასშტაბის სადაზვევო-გეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოჩნდა, რომ დოღურაშისა და ოფიტარა-ოყურემის მიდამოების ამგები ქანები განიცდის ინტენსიურ მსხვრევას, ჰიდროთერმულ სილიფიკაციას და სულფიდიზაციას, რის გამოც მათ მნიშვნელოვნად დაკარგული აქვთ პირველადი ბუნება. აღნიშნული ჰიდროთერმული შეცვლები და მადნიანი მინერალიზაციის პროცესები მხოლოდ ქვედა და შუა იურულ ქვიშაქვებს, ფიქლებს, ეფუზურ ქანებსა და მათი გამკვეთი ინტრუზული სხეულების კონტაქტის ზონაში აღინიშნება. აქ წარმოდგენილი მადნეული მინერალებია: ქალკოპირიტი (CuFeS_2), სფალერიტი ($(\text{Zn,Fe})\text{S}$), გალენიტი (PbS) და მარკაზიტი (FeS_2). მეორადი მინერალებიდან გვხვდება: ლიმონიტი, სმიტსონიტი და მალაქიტი. ადგილი აქვს შემდეგ შეცვლებს: სილიციფიკაციას, სერიციტიზაციას, კაოლინიზაციას, კარბონატიზაციას. ქლორიტიზაციას და პირიტიზაციას. მადნები ხასიათდება მარღვული, მასიური, ჩანაწინწკლური, ზოლიან-კოლოფორმული და ბრეჩიული ტექსტურებით (სურ.14).




სურ. 14. მადნის ნიმუშები საკვლევ ტერიტორიიდან: (ა) ჰიდროთერმული ბრექჩია, კვარცისა და მადნეული მინერალების შემავსებლით და რკინის ოქსიდებით, დოღურაში; (ბ) ჰიდროთერმული ბრექჩია, გალენიტის და სფალერიტის კრისტალთა მარცვლებით (მარცხნივ), დაფარული რკინის ოქსიდებით, დოღურაში; (გ) სფალერიტით მდიდარი ნიმუში, ქალკოპირიტის ჩანართებით (ოქროსფერი), დოღურაში; (დ) გამოფიტული ჰიდროთერმული ბრექჩია, სილიფიცირებული ქვიშაქვის კლასტებით და ოქსიდიზირებული მატრიქსით, დოღურაში; (ე) პირიტიზირებული და სილიფიცირებული ვულკანური ქანი, დოღურაში; (ვ)

კვარცის ძარღვი ქაკლოპირიტით, ოფიტარა; (ზ) შემცველ ქანში თანაბრად განაწილებული სულფიდთა ჩანართები, რომლებიც ქმნიან ე. წ. „სვეტისებრი განწვევების“ მსგავს ტექსტურას, ოფიტარა; (თ) სულფიდთა (სფალერიტი, ქალკოზინი) ორბიკულარული ჩანართები, კვარცით. შემცველი ქანი გაცეოლითებული და ოქსიდიზირებულია, ოფიტარა; (ი) გაქლორიტებულ ვულკანურ ქანში კვარცის, ქალცედონისა და ქალკოპირიტის ფლუიდალური ძარღვები, ოფიტარა; (კ) მასიური სულფიდური მადანი (ქალკოპირიტი, პირიტი და პიროტინი), დოლურაში.

დოლურაშისა და ოფიტარას მიდამოების ჰიდროთერმული ბრექჩიები მონომიქტურია. გვხვდება, როგორც ნაწილობრივ ასევე ინტენსიურად ბრექჩირებული უბნები. აღწერილ ჰიდროთერმულ ბრექჩიებში კლასტები ყოველთვის ჭარბობს მატრიქსს/შემავსებელს (სურ. 14 ა, ბ, დ) კლასტების უმეტესობა კუთხოვანი ან ნახევრადკუთხოვანია. მატრიქსი ძირითადად მხოლოდ სილიკატისგან ან კალციტ-ცეოლითის (უმეტესად ოფიტარა) ნარევისაგან შედგება, რომელიც ხშირად შეიცავს მადნეულ მინერალთა ჩანართებს, რომელთაც ხან ჩანაწინწკლების, ან ფლუიდური, ან ზოლებრივი ტექსტურა აქვს. კლასტების ნაწილი სილიფიცირებული ქვიშაქვებია (უფრო ხშირია დოლურაშის მიდამოებში), ასევე გვხვდება ვულკანური ქანის (უმეტესად ოფიტარა) კლასტებიც, რომელსაც პირველადი ბუნება დაკარგული აქვთ. ეპიგენეტური ჰიდროთერმული ბრექჩიების წარმოშობა უკავშირდება მაგმურ-ჰიდროთერმულ აქტივობას, რომლის დროსაც ხდება ბზარებსა და ნაპრალებში კვარცისა და მადნეული მინერალების შეჭრა.

ჩატარებული საველე გეოლოგიური დაკვირვებების შედეგად დგინდება, რომ ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის სადნობი სახელოსნოდან 24 სივრცობრივად ქვედა და შუა იურული ასაკის გაშლილი ზღვის ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალქ ქანებს უკავშირდება. სწორედ იმ ნალექებს, რომლებთანაც არსებული გეოლოგიური მონაცემების მიხედვით რეგიონში არსებული ყველა საბადო და მადანგამოვლინებაა დაკავშირებული. მათგან მხოლოდ ხუთი არქეომეტალურგიული ობიექტი - ჭიქელაში, ოყურეში I და II, კადარი და წმინდალიანი ქვედა ცარცულ კირქვებზეა განლაგებული, თუმცა იურულ ქანების კონტაქტის ზონასთან სიახლოვეს (სურ. 15).



სურ. 15. საკვლევ რეგიონის გეოლოგიური რუკა, 1:200 000 (შ. ადამია და სხვ., 2020); წითელი ოთხკუთხედებით დატანილია ლითონის სადნობი სახელოსნოები

1.2 არქეომეტალურგიული სადაზვერვო სამუშაოები

არქეოლოგიური სამუშაოები მოიცავდა ახალი პრეისტორიული სადნობი სახელოსნოების მოძიებას და მათ GPS ფიქსაციას; ადრე აღმოჩენილ, უკვე კვლევის ეტაპზე მყოფ არქეომეტალურგიულ ობიექტებზე საძიებო თხრილების გათხრა/გაფართოებას; მეტალურგიული ნარჩენების: წიდების, ტიგელისა/ქურის და საბერველი მილის ფრაგმენტების შეგროვებას მათი კამერალური და ლაბორატორიული კვლევებისთვის.

2020-2022 წლის არქეომეტალურგიული საველე-სადაზვერვო სამუშაოები - სოფლების გვესოს (ადგ. ჭიქელაში), ოყურემის (ადგ. დიდლოდები და სათიბები), რცხმელურის (ადგ. შავბინულა), გვიმბრაღას (ადგ. ჟიბე მოლი) მიდამოებში გაგრძელდა.

ჭიქელაში

ჭიქელაში მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ცაგერიდან ჩრდილო დასავლეთით ≈ 5 კმ-ში, ჭიქელაშის ქედის კირქვიანი პლატოს სამხრეთ ფერდზე (სურ.16). ჭიქელაშის ლითონის სადნობი სახელოსნო (314932 N; 4725680 E; h=1445მ) აღმოჩნდა 2019 წლის მაისში.



სურ. 16. მდ. ცხენისწყლის ხეობა და ცაგერი; თეთრი ისრით ნაჩვენებია ჭიქელაში; ხედი ორბელის სერპანტინიდან

ჭიქელაშის სადნობი სახელოსნო ტყიან ადგილას, ყანისთვის გაკაფულ მდელოზე, ორ ბუნებრივ დეპრესიას (კარსტულ ჩაღრმავებას) შორის არსებულ შემალღებაზე/ბორცვზე მდებარეობს. სადაც დიდი რაოდენობით ვნახეთ წიდეები, ქურის შელესილობის, ტიგელისა და ჰაერის საბერველი მილების ფრაგმენტები; ასევე დამწვარი ნიადაგის ზედაპირები, რადგანაც აღნიშნული ბორცვის ზედაპირი საკმაოდ ეროზირებულია (სურ. 17).

ჭიქელაში და მისი მიდებარე ტერიტორია, სადაც ლითონის სადნობი სახელოსნოა აღმოჩენილი, განსხვავებით სხვა სადნობი სახელოსნოებისგან ქვედა ცარცულ კარბონატულ ქანებზეა (გლაუკონიტური ქვიშაქვები, მერგელოვანი და დოლომიტიზირებულ კირქვები ვარდისფერი და ხორცისფერი კაჟის ჩანართებით) განლაგებული. ცარცულ ნალექებს ჩრდილოეთით ≈ 500 მეტრში, უთანხმოდ ადევს შუა იურული - ბაიოსური პორფირიტული წყების ქანები. ჭიქელაშის მიდამოების დათვალიერებისას არ ჩანს არცერთი შეცვლილი ან მინერალიზირებული ზონა. ჭიქელაშის მიდამოებში განვითარებულია სუსტად გამოხატული კარსტული რელიეფის ფორმები - კარული ველებით და სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის უარყოფითი ფორმებით/ჩაქცევებით (კარსტული ღრმულები, კარსტული სასულე ან ძაბრი) (სურ. 18).



სურ. 17. ჭიქელაშის მიდამოების აეროფოტო (ფოტო ვ. მამიაშვილის)


ტერიტორიაზე დაფიქსირდა მსგავსი 7 სტრუქტურა, აქედან ორი ძეგლის სიახლოვეს. გაჩნდა კითხვები, პრეისტორიულ მდაროელებს საიდან მოქონდათ მადანი, ან ხომ ხომ არ იყენებდნენ აღნიშნულ ქანებში წარმოქმნილ კარსტულ ჩაქცევებს მადნის გამოსაღებად/მოსაპოვებლად.

ჭიქელაშის არქეომეტალურგიულ ობიექტზე გაფართოვდა 2019 წელს გაჭრილი სადაზვერვო სამი თხრილი (სურ. 19, 21, 22). გაიწმინდა და გაითხარა სადნობ

სახელოსნოსთან მდებარე ე.წ. კარსტული სასულე (სიდრუე) უძველესი მეტალურგიის საქმიანობის კვალის აღმოჩენის მიზნით (სურ. 20).




სურ. 18 ა) კარსტული რელიეფის ფორმები; ბ) კარსტული ჩაქცევები; ჭიქელაში




სურ. 19 ა) წიდეები; ბ) #1საცდელი თხრილი; გ) აღმოჩენის ადგილის ტოპოგეგმა. ჭიქელაში


სადაზვერვო თხრილებში სტერილურ ძლიერ მოყვითალო თიხნარ ფენის თავზე ჭრილებში დაფიქრდა კულტურული ფენები, რომელიც შედგება ნახშირიანი სედიმენტისაგან. კულტურული ფენა სხვადასხვა სიმძლავრისაა და შეცავს ლითონის დნობის ნარჩენებს - წიდებს, ტიგელისა და საბერველი მილის ფრაგმენტებს (სურ. 19, 21-23).



სურ. 20 ა) კარსტული სასულე; ბ) თხრილი # 4, გეგმა, ჭრილი. ჭიქელაში




სურ. 21. თხრილი # 1, გეგმა, ჭრილი. ჭიქელაში



სურ. 22. თხრილი # 3, გეგმა, ჭრილი. ჭიქელაში


კარსტული სასულის გასუფთავების შემდეგ გამოჩნდა მისი მრგვალი ფორმა (ზომები - 4x5 მ.). ის ამოვსებულია დიდი ზომის კირქვის ლოდებით, რომელიც სავარაუდოდ ჩამოვარდნილია ზემოდან და სრულიად ბინებრივი წარმონაქმნისა, აღნიშნულ სასულეში არ ფიქსირდება კულტურული ფენა.



სურ. 23. ნაგებობის კედელი; ბ) გეგმა და ჭრილი. ჭიქელაში

ჯერ კიდევ 2019 წლის დაზვერვების დროს ყურადღება მიიპყრო სიღრუეებს შორის არსებულ შემადლებულ ადგილზე, ე. წ. „უნაგირზე“ მოზრდილი და საშუალო ზომის კირქვის ლოდებით ნაგებმა კედელმა (ე. წ. ყორე). გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა მშრალი წყობით ნაშენები ნაგებობის ნაშთი, რომელიც ამოყვანილი უნდა ყოფილიყო ბუნებრივი კირქვის, ამჟამად თითქმის დაშლილ, საფუძველზე (ზომები - სიგრძე 6 მ, სიმაღლე საძირკვლიანად 90×60 სმ). ის დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ერთ ადგილას, დასავლეთით კუთხეს ქმნის (სურ. 23).

ტყე-ბუჩქით დაფარულ ქედზე, რომელიც ორ ბუნებრივ ჩაღრმავებას აკრავს ჩრდილოეთის მხრიდან, იკითხებოდა თითქმის მთელ პერიმეტრზე, ყოველ 20-30 მეტრში მრგვალი ფორმის ე. წ. ქვაყრილები. ერთ-ერთი ასეთი ქვაყრილის გაწმენდის შედეგად გამოვლინდა მოზრდილი ქვების მშრალი წყობით ნაშენი ოთხკუთხა-მომრგვალებული სათავსი (ზომები 6×3 მ, 70-80 სმ, სიმაღლე 40-60 სმ) (ნახ. 24).



სურ. 24. სათავსი #1; ფოტო, გეგმა, ჭრილი. ჭიქელაში

სავარაუდოდ ჭიქელაშის ტერიტორიაზე საქმე უნდა გვექონდეს დიდ ფართობზე გავრცელებულ ნამოსახლარ კომპლექსთან. ობიექტზე ჯერჯერობით არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები, აქედან გამომდინარე ვერ ვისაუბრებთ მის ასაკზე და რაობაზე და ასევე მის კავშირზე აქ არსებულ სპილენძის სადნობ სახელოსნოსთან.

ჭიქელაშიდან შეგროვდა წიდისა და ტექნიკური კერამიკა სხვადასხვა ანალიზებისთვის (იხ. თავი: კამერალური სამუშაოები; ჭიქელაშის ნიმუშების აბრევიატურაა – Ch).

ოყურეში

სოფელი ოყურეში, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხვამლის მასივის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს; იგი ცაგერიდან დაშორებულია 18 კილომეტრით. ოყურეშის მიდამოებში უმეტესად შუა იურული და ვუკანური და ვულკანოგენურ-დანალექი ქანებია გავრცელებული, რომლებსაც ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით აღმავალ ჭრილში მოსდევს ზედა იურული, კიმერიჯულ-ტიტონური დანალექი ქანები, მას კი ქვედა ცარცული - ვალანჟინური და ჰოტრივული იარუსის კვარც-არკოზული ქვიშაქვები და დოლომიტიზირებული კირქვები. სწორედ იურული და ცარცული ქანების კონტაქტის ზოლში, სოფელ ოყურეშიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ში, ტყეში, სამანქანო გზასთან სიახლოვეს ადგილ „დიდლოდებთან“ აღმოჩნდა ახალი ლითონის სადნობი სახელოსნო (311850 N; 4710728 E; h=1079) (სურ. 25). აქ საკმაოდ დიდ ფართობზე ფიქსირდება კულტურული ფენები, რომელიც ჩაჭრილია პატარა მშრალი ხევით/ხრამით (სურ. 26 ა).



სურ. 25. ლითონის სადნობი ძეგლები (ნაჩვენებია ისრებით), ხვამლის მასივის ძირში. ოყურეშის მიდამოები

ხევი მხოლოდ წვიმისა და თოვლის წყლით საზრდოობს, რომელსაც როგორც ჩანს გამორეცხილი აქვს მცირე ზომის მასალა (არტეფაქტები), რადგანაც მის კალაპოტში მხოლოდ დიდი ზომის წიდეები (სურ. 26 გ, დ) გვხვდება. მცირე ზომის მასალა მხოლოდ დროებითი ნაკადების მიერ ჩაჭრილ კულტურულ ფენებშია შემორჩენილი.

აღმოსავლეთის მიმართულებით, ჰიფსომეტრიულად ზემოთ, ≈ 500 მეტრში, სამანქანო გზის გადაკვეთის შემდეგ, ტყეში დავაფიქსირეთ ანალოგიური, მაგრამ საკმაოდ ნაგორები არქეომეტალურგიული მასალა. კიდეც უფრო ზემოთ, დიდლოდეებიდან ≈ 2 კმ-ში ადგილ სათიბებთან, ვნახეთ ნახშირიანი ნიადაგის ფენა რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა წიდეებს (311952 N; 4710521 E; h=1155). კულტურული ფენები აქაც ჩაჭრილია დროებითი ღვარების მიერ, მაგრამ შედარებით უკეთაა შენარჩუნებული ვიდრე ოყურეში I-ზე (სურ. 26 ე და 28).



სურ. 26 ა) ოყურეში I (დიდლოდები), ხევი სადაც გამოჩნდა კულტურული ფენები; ბ), გ) და ვ) წიდეები და კერამიკა ოყურეშის სადნობი სახელოსნოებიდან; კულტურული ფენა; ოყურეში II (სათიბები)

კულტურული ფენების სიმძლავრის დასადგენად გაითხარა სამი სატესტო თხრილი. ორი ოყურეში I-ზე (დიდლოდები) (სურ. 27 ა, ბ), ერთი ოყურეში II-ზე (სათიბები) (სურ. 28). სატესტო თხრილებმა აჩვენა, რომ ორივე ადგილი ძლიერ არის დახრამული და ინფორმაციის დიდი ნაწილი წაშლილია. მიუხედავად ამისა, დიდი რაოდენობით იკრიფება მეტალურგიული ნარჩენები (დიდი ზომის წიდეები, ქურის შელესილობის, ტიგელების და საბერველი მილების ფრაგმენტები). ჭრილში გამოჩნდა დანახშირებული და დამწვარი/გაწითლებული ფენები. საიტების დაზიანების გამო ვერ მოხერხდა მძლავრი კულტურულ ფენების დაფიქსირება (სურ. 29 ა, ბ და სურ. 30).




სურ. 27 ა), ბ) - ოყურეში 1, „დიდლოდები“, თხრილი # 1 (100 სმ×100 სმ) თხრილი # 2 (150×170 სმ)


ოყურეშის ლითონის სადნობი ორივე სახელოსნოდან შეგროვდა წიდისა და ტექნიკური კერამიკის ნიმუშები სხვადასხვა ანალიზებისთვის (იხ. თავი: კამერალური სამუშაოები; ოყურეშის ნიმუშების აბრევიატურაა – Ok).



სურ. 28. ოყურეში II, „სათიბები“, თხრილი # 1 (200 სმ×150 სმ)



სურ. 29 ა) ოყურეში I, სიტუაციური გეგმა; ბ) ოყურეში I, თხრილი #1, გეგმა, ჭრილი; გ) ოყურეში I, თხრილი #2, გეგმა, ჭრილი



სურ. 30 ა) ოყურეში II, თხრილი #1, გეგმა, ჭრილი; ბ) ოყურეში I, თხრილი #2, გეგმა, ჭრილი


შავბინულა (3)

ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა სოფ. რცხმელურის თავზე (42°42'19.8"N; 42°47'11.5"E; h=1118), ადგილ შავბინულას ლითონის სადნობ სახელოსნოზე. გათხრილ სადაზვერვო თხრილში დაფიქსირდა თხელი კულტურული ფენა, ნახშირიანი შავი ფერის სედიმენტი წიდეების და კერამიკის ფრაგმენტებით. ზედაპირიდან 0.35 სმ სიღრმეზე გამოჩნდა თიხანარევი ფენა, მცირე ზომის ქვის ნატეხებით. ამგვარი ფენა სხვა ძეგლებზეც გვხვდება, როგორც წესი მას ზემოდან ადევს კულტურული ფენა (სურ. 31 და 32 ა, ბ).





სურ. 31 ა), ბ) „შავბინულა”, გ), დ) სადაზვერვო თხრილი, ე), ვ) წიდა და ქურის შელესილობის ფრაგმენტები



სურ. 32 ა) „შავბინულა“ სიტუაციული გეგმა, ბ) ჭრილი

გვიმბრალა

2021 წლის საველე სამუშაოებისას აღმოჩნდა და დაფიქსირდა კიდევ ერთი ახალი არქეომეტალურული ობიექტი ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე ($42^{\circ}42'9.8''N$, $42^{\circ}47'11.5''E$, $h=1118$ მ.); სოფელ გვიმბრალაში ადგილი ჟიბე ლარა (ზედა მინდორი), სოფლის თავზე დიდი მინდორზე მდებარეობს, მის ბოლოში ჩამოედინება ლელე -

გვიმბრალას წყალი. ჟიბე ლარა ძალიან გავს ჩვენს მიერ შესწავლილ არქეომეტალურგიულ ობიექტს - დოღურაშს. აქ ზედაპირულად იკრიფება არქეომეტალურგიული მასალა - წიდეები, ტიგელისა თუ ქურის შელესილობის ფრაგმენტები, და გაწითლებული ქვები (კვარციანი ქვიშაქვები) (სურ. 33).



სურ. 33. სოფ. გვიმბრალა, ადგილი ჟიბე ლარა

ოფიტარა

სოფელ ოფიტარას დასავლეთით (სოფლის ბოლოში), მდინარე თეთრიღელეს მარჯვენა ნაპირზე, ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე მიწის დამუშავებისას აღმოჩნდა წიდეები. მითითებულ ადგილზე – დ. წ. #335 ($42^{\circ}30'39.6''N$ $42^{\circ}39'27.1''E$; $h=752m$.) დაფიქსირდა წიდეები და უხეში, მსხვილმარცლოვანი კერამიკის ფრაგმენტები (სურ. 34). წიდეებისა და კერამიკის პირველადი დათვალიერების საფუძველზე არქეომეტალურგებმა და არქეოლოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნული წიდეები რკინის და არა სპილენძის დნობის პროდუქტია, ე. წ. ნალვენთები (iron "flow" slag), ხოლო კერამიკის ფრაგმენტები შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის საფუძველზე შუა საუკუნეების დროინდელი უნდა იყოს.



სურ. 34. რკინის მეტალურგიის წარმოების ნარჩენები, სოფ. ოფიტარა

ოფიტარაში კიდევ ერთი რკინის სადნობი სახელოსნო აღმოჩნდა სოფლის განაპირას (317125N; 4724376E; h=522). არქეომეტალურგიული მასალა - მსუბუქი წიდეები (მალაქიტის წანაცხების გარეშე) და უხეში კერამიკის ფრაგმენტები მიმოფანტულია დაახლოებით 300 მ² ფართობზე (სურ. 35). აღნიშნული ობიექტი სოფელ ოფიტარაში ჩვენ მიერ დაფიქსრებული რკინის სადნობი მესამე სახელოსნოა.




სურ. 35 ა) ადგილი სადაც აღმოჩნდა წიდეები, ხედი სოფლიდან აღმოსავლეთით მდებარე ასხის პლატოზე; ბ) ახლად გაჭრილი კულტურული ფენები. სოფ. ოფიტარა

ოფიტარას რკინის სადნობი სახელოსნოებიდან შეგროვდა წიდეების ნიმუშები, სხვადასხვა სახის ანალიზის ჩასატარებლად.

ლითონის სადნობი სახელოსნოების პალინოლოგია

2020 წელს, გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეომეტალურგიულ ობიექტებზე მოპოვებულ წიდეებსა და კერამიკის ფრაგმენტებზე პალინოლოგიური შესწავლის პირველი მცდელობა გვექონდა. პალინოლოგიური კვლევა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გვიანი ბრინჯაოს ხანის მთიანეთი კოლხეთის პალეოლანდშაფტის, კლიმატური პირობების, ტაფონომიისა და ადამიანის საქმიანობის მონაცემები. მსგავსი კვლევები პირველი მცდელობაა საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეომეტალურგიულ ძეგლებისთვის. სტრატეგიცირებული ფენებიდან ამოღებულ ნიმუშებში აღმოჩენილი ნამარხი მცენარეთა მტკერი საკმაოდ ინფორმატიული გამოდგა, რის გამოც 2022 წლის

საველე სამუშაოებისას პალინოლოგიური კვლევებისთვის ის 7 ძეგლი შეირჩა, სადაც ჩატარებული იყო არქეოლოგიური სამუშაოები. ესენია რეგიონის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე დოღურაშის ჯგუფში შემავალი 3 სახელოსნო-დოღურაში I, დოღურაში II და დოღურაში III; ლეჩხუმის უკიდურესი სამხრეთით მდებარე ოყურემის ჯგუფის სახელოსნოები-ოყურეში I და ოყურეში II; ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჭიქელაშისა და ლუხვანოს (გვერდისთავი) ლითონის სადნობი სახელოსნოები (სურ. 38).



სურ.36. რუკაზე დატანილია არქეომეტალურგიული ობიექტები, რომლებზეც ჩატარდა პალინოლოგიური ანალიზები: 1. დოღურაში I; 2. დოღურაში II; 3 დოღურაში III; 4. ოყურეში I; 5. ოყურეში II; 6. ლუხვანო (ადგილი გვერდისთავი); 7. ჭიქელაში

პალინოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად ზემოთ ჩამოთვლილ პრეისტორიულ ლითონის სადნობ სახელოსნოებზე გაიწმინდა ჭრილები და კულტურული ფენებიდან

სტერილური იარაღის საშუალებით მოხდა მეტალურგიული ნარჩენების - წიდებისა და ტექნიკური კერამიკის ნიმუშების აღება (სურ. 37).



სურ. 37. კულტურული ფენები, საიდანაც შეგროვდა წიდები და ტექნიკური კერამიკის ფრაგმენტები პალინოლოგიური ანალიზისთვის; ა) ჭიქელაში; ბ) დოღურაში I. გ) ოყურეში I; დ) ოყურეში II; ე) ლუხვანო (გვერდისთავი); ვ) დოღურაში II


განამარხებულ პალინოლოგიურ სპექტრებთან შესადარებლად და ნიმუშების თანამედროვე მცენარეთა მტვრის მარცვლებით დანაგვიანების გამოსარიცხად ზემოთ ჩამოთვლილი სადნობი სახელოსნობის მიდამოებიდან - დოღურაშის, ოყურეშის, ჭიქელაშის და ლუხვანოს საიტებთან ახლოს შეგროვდა თანამედროვე ნიადაგის სინჯები (სურ. 37).



სურ. 38. თანამედროვე ნიადაგის ნიმუშების აღების პროცესი პალინოლოგიური კვლევებისთვის; ა.) ოყურეში; ბ.) დოღურაში

ლექსუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის სადნობი სახელოსნოები ფიზიკურ რუკაზე

2013-2022 წლის მონაცემებით ლექსუმი-ქვემო სვანეთის მიდამოებში 29 ლითონის (სპილენძი, რკინა) სადნობი სახელოსნოა გამოვლენილი, რომელთაგან ხუთი აღნიშნული პროექტის ფარგლებში (სურ. 39). ესენია - ოყურეში I (დიდლოდეები), ოყურეში II (სათიბები), გვიმბრაღა (ჭიბე ლარა), ოფიტარა II (Fe) და ოფიტარა III (Fe) (სურ. 39). საკვლევ ტერიტორიაზე არსებული რკინის სადნობი სახელოსნოები ჰიფსომეტრიულად უფრო ქვემოთ, ზღვის დონიდან 500-750 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ყველა დანარჩენი სპილენძის სადნობი სახელოსნო კი ზღვის დონიდან 750-დან 1450 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.



სურ. 39. 2013-2022 წლებში აღმოჩენილი სპილენძისა და რკინის ობიექტების გავრცელების რუკა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე.

- 1 - ლაშკილი; 2 - გვიმბრალა; 3 - დოღურაში I; 4 - დოღურაში III; 5 - დოღურაში II; 6 - სამრეკი; 7 - ლეწფერი I; 8 - ლეწფერი II; 9 - ლეწფერი III; 10 - ლეწფერი IV; 11 - შავბინულა; 12 - ჭიქელაში; 13 - გვერდისთავი; 14 - ქვაწითელი (Fe); 15 - ნამჭედური; 16 - მუშულდა; 17 - გაბონალია; 18 - ფუნაცხვარი; 19 - ოყურეში; 20 - ოფიტარა I (Fe); 21 - ლამბვერია (Fe); 22 - წმინდალიანი (იმერეთი); 23 - კადარი (იმერეთი); 24 - ოყურეში I; 25 - ოყურეში II; 26 - ლუხვანო; 27 - გაბონალია II; 28 - ოფიტარა II (Fe); 29 - ოფიტარა III (Fe)

2. კამერალური სამუშაოები

2.1 წიდეების და ტექნიკური კერამიკის ტიპოლოგიური კვლევა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ცაგერის ისტორიის მუზეუმის ფონდებში დაცული ბოლო ცხრა წლის მანძილზე სადაზვერვო ექსპედიციებიდან და არქეოლოგიური გათხრებიდან მოპოვებული მასალის - წიდეების და ტექნიკური კერამიკის (ტიგელის, ქურის შელესილობის და საბერველი მილების ფრაგმენტები) არქეოლოგიური კლასიფიკაცია (სურ. 40).




სურ. 40. ცაგერის ისტორიის მუზეუმის ფონდში ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალა

ჩატარებული არქეოლოგიური კლასიფიკაცია დაფუძნებულია მათ მაკროსკოპიულ, მორფოლოგიურ (ფერი, ტექსტურა, ზომა, ფორმა, სისქე, წონა, კვარცის კრისტალების, ქანის ფრაგმენტების ან ნახშირის არსებობა/არ არსებობა, ფოროვნება) განსაზღვრა-შეფასებაზე ინსტრუმენტების გარეშე (Metten, 2003, Hanning et al., 2012, Reitmaier-Naef, 2019). საყოველთაოდ მიღებულია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგადად წიდეები შეიძლება დაიყოს კვერის ფორმის (slag cakes), მასიურ (massive slag), ფირფიტისებრ (plate slag) და ე. წ. ქვიშა/ხვინჭკიან (დამსხვრეული) წიდებად (slag sand, i.e., crushed slag) - იგივე წილის ნამტვრევები (Reitmaier-naef, 2019).

წიდეების ტიპოლოგიური კვლევა გეოქიმიურ, პეტროგრაფიულ კვლევებთან და არქეოლოგიურ გათხრებთან ერთობლიობაში საშუალებას იძლევა პასუხები გაეცეს შემდეგ კითხვებს: სპილენძის წარმოების რომელ ეტაპზე წარმოიქმნება ამა თუ იმ

ტიპის წილები და რამდენ საფეხურიან დნობასთან გვაქვს საქმე? როგორ და რა ტემპერატურაზე გამყარდა წილები? იყო თუ არა ტექნოლოგიური განსხვავებები სხვადასხვა ლითონის სადნობ სახელოსნოების წილებს შორის? ძირითადად რა სახის სპილენძის მადნები გამოიყენებოდა ლითონის წარმოებისთვის ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში? რამდენად ეფექტური იყო წილების წარმოების პროცესი?


ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მიდამოებში გვიანი ბრინჯაოს ხანის წილების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასალაში გვხვდება ოთხი სახის წიდა - (1) კვერის ფორმის (მასიური), (2) ნაღვენეთები, (3) ფირფიტისებრი და (4) ქვიშა-ხვინჭკიანი.



სურ. 41. გვიანბრინჯაოს ხანის წილების ფოტოები და მათი ჩანახატები, ლეჩხუმი. ა) კვერის ფორმის წილები, ზედა მხარე; ბ.) იგივე წილები, ქვედა მხარე; გ), დ) ცალმხრივად გამოზნექილი (plano-convex) წიდა; ე) კვერისებრი წიდა

შესწავლილ მასალაში ყველაზე დიდი რაოდენობითაა მასიური, კვერის ფორმის წიდეები, რომელიც მასალის დაახლოებით 70-80%-ია (სურ. 41) ისინი ორნაირია – (1) ერთ მხარეს გამოზნექილი/ლინზისებური (plano-convex), 12-25 სმ დიამეტრით, წონა 1-10 კგ. მათი ფორმა და მოცულობა შეესაბამება ტიგელისას და პროპორციულია კერამიკის ჭურჭლის; ან შესაძლებელია, რომ ნახევრადგამლვალ მდგომარეობაში არსებული მასა მიწის ზედაპირზე ამოღებულ ორმოში/დეპრესიაში ჩაასხეს, რასაც ადასტურებს კვერების ზედაპირზე არსებული მკვეთრი ნაკეციები და ამობურცულობები (Pryce, *et al.*, 2010), ასევე ზოგიერთი მათგანის ძირზე ქვებისა და კერამიკის ფრაგმენტების არსებობა. აღსანიშნავია, რომ დიდი ზომის წიდეების უმეტესობას შუა ნაწილი მასიური და ჰომოგენური აქვს (ცენტრში ერთი, ან რამდენიმე დიდი სიღრუთი), ხშირია სპილენძის მცირე ზომის ჩანაწინწყლები. (2) ტიპური კვერის ფორმის წიდა, რომლის ზომები 5-9 სმ, წონა 0,2-1 კგ-ია. ორივე ტიპი შეიცავს ნახშირებს და ხის ანაბეჭდებს.

გვიანბრინჯაოს ხანის სადნობ სახელოსნოებზე მეორე და შედარებით ნაკლებად გავრცელებული წიდის ტიპია ე. წ. ნალვენთები (tap slag). ისინი შედარებით მცირე სისქის (>5 სმ), დიამეტრისა (5-15 სმ) და ხვედრითი წონის წიდებია, შუა ჰომოგენური/მასიური ნაწილის გარეშე. ნალვენთებს ზედაპირზე ემჩნევა დენადობის კვალი (სურ. 42).



სურ. 42. ნალვენთი წიდეები და გრაფიკა, ლეჩხუმის-ქვემო სვანეთის ლითონის სადნობი სახელოსნოებიდან

მასალაში ასევე დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც კვერისებრი ფორმის, ასევე ნალვენთი წიდეების ფრაგმენტები/ნამსხვრევები - ე. წ. ქვიშა/ხვინჭკიანი წიდა დამსხვრეული წიდეები (slag sand, i.e., crushed slag) (სურ. 43).



სურ. 43 ა.) წიდის ნამსხვრევები - ე. წ. ქვიშა-ხვინჭკიანი წიდა, დოღურაში II

ქვიშა-ხვინჭკიანი წიდეები ზემოთაღწერილი კვერის ფორმის, ფირფიტისებრი და ნალვენთის ფორმის წიდეების დერივატს წარმოადგენს. ჰ. ბაჩმანს დამსხვრეული წიდის შესახებ გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ პრეისტორიულ დროში მეტალურგები წიდეებს ამსხვრევდნენ/აქუცმაცებენ და იქედან იღებდნენ სპილენძის მარცვლებს ან დამსხვრეული წიდის ფრაგმენტებს ამზადებდნენ ხელახალი დნობისთვის (Bachmann 1982). პრეისტორიულ პერიოდში დნობის პროცესი ბოლომდე არ ჰქონდათ ათვისებული და წიდეებიდან მეტალის გამოყოფა სრულად ვერ ხდებოდა, ამიტომაც გამომღვავალი სპილენძის მარცვლების ექსტრაქცია წიდეებიდან ხდებოდა ხელით (Hauptmann 2000: 101–116; Hauptmann et al., 2003; Bourgarit 2007). დოღურაში I-ზე „დასაწყობებული“ ერთმანეთში არეული დიდი ზომის კვერისებური და ე. წ. ქვიშა-ხვინჭკიანი წიდეების ფენა (სიმაღლე - 1,80 სმ, ფართობი - 50მ²), სავარაუდოდ სწორედ გადამუშავებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ლითონის სადნობ სახელოსნოებზე მოპოვებულ წიდეებში ყველაზე იშვიათად გვხვდება ე. წ. ფირფიტისებრი წიდეები (plate slag), რომელსაც


ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ Plattenschlacken-ის სახელით. ამ ტიპის წიდა ერთეული რაოდენობით აღმოჩნდა დოღურაში I, II და ჭიქელაშის ლითონის სადნობ სახელოსნოებზე (სურ. 44). ფირფიტისებრი წიდეები უმეტესად მხოლოდ პატარა კუთხოვანი ნატეხების სახით გვხვდება და შედარებით მყიფეა. ის როგორც წესი არ არის ფოროვანი და ერთგვაროვანი. ყველა მათგანის სიქე მეტ-ნაკლებად თანაბარია - 2-4 სმ.



სურ. 44. ფირფიტისებრი წიდა. დოღურაში II-ის სადნობი სახელოსნო

ძველი მეტალურგიული საქმიანობის ერთერთ უმთავრესი ნარჩენია ტექნიკური კერამიკა, რომელიც ძირითადად საბერველი მილების, ტიგელების და სადნობი ქურის შელესილობის ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომელიც ტიპიური კოლხური თიხის ჭურჭელია და დამახასიათებელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურისთვის.

ლერხუმი-ქვემო სვანეთის სადნობი სახელოსნოებისთვის დამახასიათებელია ორი ტიპის ჰაერის საბერველი მილები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან ზომით და სისქით (სურ. 45 ა). გვხვდება საბერველი მილების დიდ და მცირე განივკვეთიანი ცალები, რომელთა კედლების სისქეებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ასევე - თხელკედლიანი და სქელკედლიანი ნიმუშები. საბერველი მილები დამზადებულია ორფენიანი წითელი მსხვილმარცვლოვანი თიხისგან. მილის სადნობ ქურასთან შეერთების ნაწილები გამოირჩევა ლითონის დნობის ძლიერი კვალით, წიდის ნადების სახით; მილის შუა ნაწილებსა და ბოლოზე არ ფიქსირდება ლითონის დნობის კვალი წიდის სახით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საბერველი მილის ის ფრაგმენტები, რომელსაც ზემოდან ტალღოვან-რელიეფური „გველისებური“ ორნამენტი აქვთ დაძერწილი (სურ. 45 ბ).




სურ. 45. საბერველი მილები ა) ორივე ტიპის საბერველი მილის ფრაგმენტები დოღურაში I და II ლითონის სადნობი სახელოსნოები; ბ) ორნამენტიანი საბერველი მილის ფრაგმენტები. გ) საბერველი მილის გრაფიკული ჩანახატები

ტექნიკური კერამიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილია ტიგელის ფრაგმენტები (crucible) (Hein A., 2007). ტიგელები დამზადებულია მსხვილმარცლოვანი ნაცრისფერი ცეცხლგამძლე თიხისგან. ტიპოლოგიურად სადნობი ჭურჭლის ორი ძირითადი ტიპი ფიქსირდება: სქელკედლიანი დიდი ზომის და თხელკედლიანი შედარებით მომცრო ზომის. დიდი ზომის ტიგელის ფრაგმენტებს რამდენიმე ფენიანი წიდა აქვთ შერჩენილი არა მხოლოდ შიდა კედლებზე (მრავალია აღწერილ მასალაში), არამედ ტიგელის პირის ზემოთაც არის ამოსული, რაც ნიშნავს, რომ ლითონი დუღილის პროცესის დროს აქაფდა და თიხის ჭურჭელიდან ზემოთ ამოვიდა (სურ. 46 ა. შუა რიგში მარცხნიდან მეხუთე და 46 გ, მარცხენა ორი ნიმუში).



ა

ბ



ბ

სურ. 46. ორი ტიპის ტიგელის ფრაგმენტების ფოტო და გრაფიკული ჩანახატები

ლითონის დნობისას წარმოიქმნება დიდი რაოდენობით აირები, რომელთა გენერაცია გამდნარი მასის თავზე ხდება და იწვევს თხევადი წილის აქაფებას, რაც პირდაპირ დამოკიდებულია თხევადი წილის ფიზიკურ თვისებებზე. არსებობს


რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ამცირებს წიდაზე წარმოქმნილი ქაფის რაოდენობას, ესენია: FeO-ს შემცველობა, სიბლანტე, ნახშირბადის და ჟანგბადის ინექცია (Vieira D., et al., 2017). შედარებით თხელკედლიან და მომცრო ზომის კერამიკის ფრაგმენტებზე ლითონის დნობის კვალი საერთოდ არ ფიქსირდება, ან ძალიან იშვიათად. მათ შიდა მხარეზე თითქოს ჭიქურის კვალი ჩანს, ასევე ზოგიერთ მათგანზე სპილენძის ჩანწინწკლებიც გვხვდება. სავარაუდოა, რომ ამ ორი ტიპის ტიგელის ფრაგმენტების არსებობა უკავშირდება ლითონის დნობის სხვადასხვა საფეხურებს და განსხვავებული პროცესებისთვის იყო გამოყენებული (Zhenfei S., 2022). საინტერესოა და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე ტიპის ტიგელის ფრაგმენტები მხოლოდ ჭურჭლის გვერდებისა და პირების ფრაგმენტებით გვხვდება, ხოლო კერამიკის ჭურჭლის ძირის ნაწილი, ძალიან იშვიათია (ორი ფრაგმენტი). შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს მაღალ ტემპერატურაზე ძირის ადვილად დაზიანება/დაშლა და ძირს მოგროვილი გადამდნარი ლითონის მასის (pure ingot) ამოღებისას მისი დამსხვრევა მეტალურგების მიერ.

2.2 პეტროგრაფიული ანალიზი

პროექტის ფარგლებში პეტროგრაფიული ანალიზი ჩატარდა ლეჩხუმის-ქვემო სვანეთის პრეისტორიული ლითონის სადნობ სახელოსნოებზე მოპოვებულ წიდებსა და მინერალიზებულ ქანთა ნიმუშებს. 70-მდე გამჭვირვალე ანათალი კავკასიის მინერალური ნედლეულის ლაბორატორიაში დამზადდა, ხოლო პეტროგრაფიული აღწერები, საქართველოს ეროვნული მუზეუმში, პოლარიზაციული მიკროსკოპის - OM239P-ის საშუალებით ჩატარდა.

წიდების პეტროგრაფია. პეტროგრაფიისთვის შერჩეული წიდები მაკროსკოპული მახასიათებლების მიხედვით დაიყო: (ა) ფოროვანი, მსუბუქი წიდებად - ნალვენეთები; (ბ) მასიური, ერთგვაროვანი ნიმუშები - ე. წ. კვერის ფორმის წიდები.

(ა) # D2-801/22 - ნალვენთი წიდა (ფოროვანი, მსუბუქი, მალაქიტებით).



სურ. 47 ა). წიდის ნიმუში #D2-801/22; მიკროფოტოები: ბ). x25 xpl; გ.) x40 xpl.

D2-801/22 ნიმუშის მიკროფოტოზე ჩანს, რომ მინისებრ იზოტროპულ ძირითად მასაში გაბნეულია სხვადასხვა ზომის ფორები, სულფიდთა და სპილენძის კარბონატის ჩანაწინწკლები (მწვანე ფერის ოვალური ჩანართი) (ბ) და კვარცის სხვადასხვა ზომის გადაუმდნარი კრისტალები (ცენტრში - მარჯვნივ თეთრი ბიპირამიდული ფორმის კრისტალები (გ)). წილის სტრუქტურა მდნარის სწრაფი გაციების ფაზას ასახავს.


(ა) # Gv-676/22 - ნალვენთი წიდა (ფოროვანი, დაჟანგული, მსუბუქი).



სურ. 48 ა). წილის ნიმუში # Gv-676/22; მიკროფოტოები: ბ). X40 xpl; გ). x100 ppl.

Gv-676/22 -ის ნიმუშის ძირითადი მასის სტრუქტურა ჰიპოკრისტალურია, სადაც მინა ჭარბობს კრისტალებს. (ბ) მიკროფოტოზე ჩანს ასევე წვრილკრისტალური კვარცის მიკროკრისტალები, სხვადასხვა ზომის ფორები და დაჟანგული მეტალთა ჩანაწინწკლები.


(ა) # D2-800/22 - ნალვენთი წიდა (ფოროვანი, მალაქიტის ნაფიფექებითა და ნახშირის ჩანართებით).



სურ. 49 ა). წილის ნიმუში # D2-800/22; მიკროფოტოები: ბ). X40 ppl; გ). x100 ppl.

D2-800-22 ნიმუშის ძირითადი მასა ამორფული მინისა და წვრილმარცვლოვანი/კრისტალური ნარევა, რომელიც წარმოდგენილია ოლივინით (ფაიალიტი, Fe_2SiO_4), იშვიათად პიროქსენით. გვხვდება სპილენძის სულფიდების ან მეტალური სპილენძის ჩანართები; (ბ) მიკროფოტოს ცენტრში ჩანს ნახშირის ფრაგმენტი.


(ა) # D11/20 - ნაღვენთი წიდა (ფოროვანი, მალაქიტისა და ოქსიდების ჩანართებით).



სურ. 50 ა). წიდას ნიმუში #D11/22; მიკროფოტოები: ბ). x25 ppl; გ). x100 ppl.

D11/20 ნიმუშის მიკროფოტოზე ჩანს ნახევრადკრისტალური სტრუქტურა, რომელიც აგებულია სილიკატური მინის, ფაიალიტის, მაგნეტიტის მარცვლებით (შავი მარცვლები) და სპილენძის ჩანართებით.

(ბ) # Ok15/20 - მასიური წიდა - ე. წ. კვერის ფორმის წიდას ჰომოგენური ნაწილი, ფორების გარეშე.



სურ. 51 ა). წიდას ნიმუში # Ok15/20; მიკროფოტოები ბ). x25 ppl; გ). x100 xpl.

Ok15-20 ნიმუში გვიჩვენებს სრულკრისტალურ სტრუქტურას, რომელიც ოლივინისა (ფაიალიტი) და პიროქსენის კრისტალებისაგან (მწვანე) შედგება. გვხვდება ასევე ოვალური ფორმის სპილენძის ჩანართები (თეთრი).


(ბ) # Ok671/22- კვერის ფორმის წილის ჰომოგენური ნაწილი. ნიმუშზე ჩანს სულფიდთა ჩანაწინწკლები.



სურ. 52 ა). წილის ნიმუში # Ok671/22; მიკროფოტოები: ბ).x100 xpl; გ). X40 ppl.

Ok671/22- ნიმუშის მიკროფოტოს ცენტრალურ ნაწილში ოვალური ჩანართი შეიცავს სპილენძის სულფიდებს - ქალკოპირიტიდან მეტალურ სპილენძამდე (ბ); ტიპიურ სპილენძის წილის სტრუქტურა და შედგენილობა - ფაიალიტის, მაგნეტიტისა და პიროქსენის კრისტალების ერთობლიობას ასახავს (გ).

(ბ) # D12/19 - მასიური წილის, ჰომოგენური ნაწილი, მცირე რაოდენობის და ზომის ფორებით.




სურ. 53 ა). წილის ნიმუში # D12/19; მიკროფოტოები: ბ).x100 xpl; გ). x100 ppl.

D12/19-ის პირველ მიკროფოტოზე ფორებში გვხვდება ზოგან სულფიდები (მწვანე) და კვარცით ჩანართი (მარჯვნივ); შლიფი აგებულია ფაიალიტის ნემსისებრი

ქაოსურად ორიენტირებული კრისტალებისაგან (მაღალინტერფერენციული ფერებით) (გ).

(ბ) #D7/19 - კვერის ტიპის წიდის ჰომოგენური ნაწილი.



სურ. 54 ა). წიდის ნიმუში # D7/19; მიკროფოტოები: ბ).x100 xpl; გ). x100 ppl.

ნიმუში #D7/19 ჩანს სპილენძის დნობის განსხვავებული ფაზა - ფაიალიტის წაგრძელებული (მაღალინტერფერენციული ფერები) კრისტალები მინისებრ ძირითად მასაშია გამოკრისტალებული, სადაც ასევე გვხვდება მაგნეტიტის (შპინელის) მარცვლები (შავი ფერის აგრეგატები).

(ბ) #D1/19 მასიური, ჰომოგენური წიდა, სპილენძის ჩანაწინწკლებით.



სურ. 55 ა). წიდის ნიმუში # D1/19; მიკროფოტოები: ბ). X 25 ppl; გ). X40 xpl.

D1/19 შლიფი აგებულია ფაიალიტისა და პიროქსენის კრისტალებით, ძალიან მცირეა სილიკატური მინის როლი; (ბ) მიკროფოტოზე ჩანს სულფიდური ჩანართები (ოქროსფერი).


(ბ) #Dog. 6.20" - ჰომოგენური მასიური წიდა, მცირე რაოდენობით ფორებისა და ქვედა კიდეში კვარცის ჩანართებით.



სურ. 56 ა). წიდის ნიმუში # D1/19; მიკროფოტოები: ბ). X 40 xpl; გ). X100 ppl.

Dog. 6.20" კვერის ტიპის წიდის ჰომოგენური ნაწილის შლიფი აგებულია ფაიალიტის წაგრძელებული კრისტალების (მაღალინტერფერენციული ფერებით), პოროქსენისა და მაგნეტიტის შავი (ოპაკური) კუბის ფორმის კრისტალებისგან. ბ მიკროფოტოზე თეთრი რკალით შემოსაზღვრულია სპილენძის ჩანაწინწკლები.

(ბ) # Ok-11/22 – მასიური, ჰომოგენური წიდა, რომელზეც შეუიარაღებელი თავლითაც ჩანს ფაიალიტის წაგრძელებული/ ჩხირისებრი კრისტალები.



სურ. 57 ა). წიდის ნიმუში # Ok11/22; მიკროფოტოები: ბ). X 40 xpl; გ). X100 ppl.

Ok-11/22 ნიმუში აგებულია ფაიალიტის ძეწკვისებრი კრისტალებით. ოლივინის აღნიშნული ფორმა კ. დონალდსონის (1976) კვლევის მიხედვით ნიშნავს, რომ წიდის გაციების სიჩქარე დაბალია და საათში 40°C-ია. (გ) მიკროფოტოზე ზედა კიდეში ჩანს ასევე მაგნეტიტს დენტრიტები და ოვალური ფორმის სპილენძის ჩანართები (ნაცრისფერი გლუვი მასა).

(ბ)# D-22/22 მასიური, ერთგვაროვანი წიდა, შეუიარაღებელი თვალთ ჩანს სპილენძის ჩანაწინწკლები.



სურ. 58 ა). წიდის ნიმუში # Dog22/22; მიკროფოტოები: ბ). X 40 xpl; გ). X100 ppl.


D-22/22 ნიმუში თითქმის მსგავსია Ok-11/22 წიდისა. აქ უფრო კარგადაა განვითარებული ოლივინის (ფაიალიტის) ძეწკვისებრი კრისტალები და მაგნეტიტის დენტრიტები (პირველი მიკროფოტოზე ცენტრში მწვანე ფერი). (გ) მიკროფოტოზე ჩანს მარჯვნივ თეთრი ფერით სპილენძი.

წიდების პეტროგრაფიული ანალიზის შედეგები

შესწავლილი წიდების მიკროსტრუქტურები გვიჩვენებს კრისტალიზაციის ორ ფაზას: (1) მასიური კვერისებრი ტიპის წიდებისთვის, განსაკუთრებით მათი ცენტრალური და ქვედა ნაწილებისთვის დამახასიათებელია კრისტალური მიკროსტრუქტურა. იგი წარმოდგენილია ფაიალიტის (ოლივინის) ნემსისებრი ან ძეწკვისებრი კრისტალების, კლინოპროქსენის რადიალური კრისტალებისა და მაგნეტიტის (წვრილი დენტრიტებიდან მსხვილ მრავალწახნაგა აგრეგატებამდე) ერთობლიობით; სპილენძის სულფიდებისა და მეტალური სპილენძის ჩანაწინწკლებთან (prill) ერთად. (2) დნობის მეორე ფაზას ასახავს ჰიპოკრისტალურიდან ნახევრადკრისტალურამდე მანგანიუმითა და რკინით მდიდარი სილიკატური მასა; ის შედგენილია სხვადასხვა ზომის კვარცის კრისტალებით, მაგნეტიტის მარცვლებითა და იშვიათად ლითონის ჩანართებით, რომელიც უმეტესად დაჟანგულია სპილენძის ოქსიდების, კარბონატების ან ქლორიდების სახით. ეს ფაზა დამახასიათებელია ნაღვენთებისა და მცირე ზომის მსუბუქი ძლიერ ფოროვანი წიდებისთვის.

ამრიგად, ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გვიანბრინჯაოს ლითონის სადნობ სახლოსნობებზე მოპოვებული წიდების პეტროგრაფიული კვლევის შედეგად გამოიკვეთა დნობის ორი ფაზა: (1) კრისტალური ფაზა და (2) მინისებრი; როგორც წესი კრისტალურ ფაზაში მინისებრი ფაზისგან განსხვავებით ხშირია სპილენძის სულფიდების ან მეტალური სპილენძის ჩანართები (სურ. 60 ბ).

წიდეების ტიპოლოგია ასევე დაკავშირებულია ტიგელში მდნარის გაგრილების სიჩქარესთან. ბუნებრივია, რომ დიდი მოცულობის წიდეები ჩვეულებრივ მიუთითებს ნელ გაგრილებაზე, ხოლო მცირე მოცულობის წიდეებში კი პირიქით. ოლივინის კრისტალის ჰაბიტუსის/მორფოლოგიის ცვლილების მიხედვით შესაძლებელია მდნარის გაგრილების სიჩქარის უხეშად გამოთვლა (Donaldson 1976). მაგალითად პრიზმული ოლივინების არსებობა მასიურ წიდეებში ნელი გაგრილების სიჩქარეზე მიუთითებს $0-5^{\circ}\text{C}/\text{სთ}$ -ში; ძაბრისებრი და დატოტვილი ფორმის ოლივინიანი მდნარის გაგრილების სიჩქარე საათში 7°C -დან 15°C -მდეა; ქაოსურად და პარალელურად ორიენტირებული ძეწკვისებრი ოლივინები მდნარის გაგრილების მაღალი სიჩქარის მარკერია და შეესაბამება $40-80^{\circ}\text{C}/\text{სთ}$ -ს; ხოლო ბადისებრი, ფირფიტისებრი და ბუმბულის მსგავსი დენდრიტები მდნარში ადასტურებს, რომ მისი გაგრილების სიჩქარე 1500°C -ზე ნაკლებია (სურ. 59).




სურ. 59. ბაზალტური მდნარში ექსპერიმენტით მიღებული ოლივინის (ფორსტერიტის) კრისტალთა ფორმის ცვლილებები გაგრილების სიჩქარის მიხედვით (Donaldson 1976), რომელიც შედარებულია Bohutín-ის (ჩეხეთი) არქეომეტალურგიულ ძეგლზე მოპოვებული წიდეებში არსებულ ფაიალიტის ფორმებთან. ფოტოები გადაღებულია ელექტრონული მიკროსკოპით (SEM). აბრევიატურა: Ol, ოლივინი; Gl, მინა; Gn, ტყვია; Sp, სფალერიტი; Cpx, კლინოპიროქსენი. (V. Ettler და სხვ., 2009).

ლექსუმის სადნობ სახელოსნოზე წიდეების შედგენილობაში არსებული ფაიალიტის კრისტალთა განსხვავებული ფორმები შეესაბამება გაცივების სხვადასხვა სიჩქარეს.


აღწერილი შლიფების მიხედვით ჩანს, მასიური წიდეებში უმეტესად გვხვდება წაგრძელებული და ქაოტურად ორიენტირებული მორფოლოგიის მქონე ოლივინის (ფაიალიტის) ნემსისებრი კრისტალები და კრისტალთა ძეწკვები, რომელთა გაგრძელების სიჩქარე საათში 40-80°C-ია; შედარებით იშვიათია ბადისებრი-ძეწკვისებრი ოლივინის კრისტალებისგან შემდგარი მდნარი, რომელიც ნაღვენთის ტიპის წიდეებში დაფიქსირდა. ასეთი მორფოლოგიის კრისტალთა მდნარი საათში 90-140°C-ით კარგავს ტემპერატურას (უფრო სწრაფად გრილდება). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მასიური წიდეების ქვედა ნაწილებში ოლივინის კრისტალთა ზომა რამდენადმე აღემატება ზედა ნაწილებში არსებულ ზომებს და აღწევს 200-300µm მიკრონს (0,2-0,3 მმ), რაც შეუიარაღებელი თვალითაც არის შესამჩნევი (სურ. 60).

კ. დონალდსონის (1976) კვლევის თანახმად, რომელიც ეფუძნება ფაიალიტის კრისტალების იდენტიფიკაციას, ჩანს, რომ ლეჩხუმის გვიან ბრინჯაოს ხანის მასიური წიდეები (კვერები) გრილდებოდა 40-80°C სიჩქარით საათში; რაც ნიშნავს, რომ სპილენძის მასიური (კვერისებრი/ქურის) წიდის გაციება გრძელდებოდა საშუალოდ 24 საათის განმავლობაში, ხოლო ნაღვენთი წიდეების გაგრძელება დაახლოებით 10-12 საათში.



სურ. 60. თვალთ ხილული ფაიალიტის კრისტალები და სპილენძის ჩანართები დოღურაშის მიდამოებში აღმოჩენილ მასიურ წიდეებში; ა).#D 6/20; ბ). #D 22/22

შესწავლილი წიდეების უმეტესობა ბოლომდეა გადამდნარი, ასეთი წიდეები თითქმის არ შეიცავს ქანის ჩანართებს. თუმცა გვხვდება ისეთებიც, რომელიც სრულად არ არის გამდნარი/გათხიერებული (not fully liquefied) და შეიცავს კვარცის ჩანართებს (სურ. 61). წიდეებში კვარცის ჩანართების არსებობაზე სხვადასხვა დროს გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება. ერთერთის მიხედვით კვარცს შეგნებულად უმატებდნენ მდნარს წიდის გასამკვრივებლად და უფრო ადვილად დასამსხვრევად (Rothenberg & Blanco-Freijeiro 1981).



სურ. 61. კვარცის ჩანართები წიდებში; ოყურემის სადნობი სახელოსნოებიდან; ა).Ok11/20; ბ). Ok12/20.

მოგვიანებით რ. თილეკოტმა ივარაუდა, რომ კვარცი მდნარს დნობის ბოლო ეტაპზე, გასქელებისთვის ერეოდა, რაც საშუალებას იძლეოდა ადვილად ამოღებულიყო ქურიდან წიდა (Tylecote, 1987). პ. კრადოკის აზრით კვარცი არ შედის რეაქციაში მდნართან და ამიტომაც მას პროცესის დასასრულს უმატებდნენ, რადგან ამ დროს წიდა უფრო სწრაფად ცივდება და ხდება უფრო მყარი (Craddock, 2013). ა. ჰაუპტმანი განმარტავს, რომ წიდაში დაუმლელი კვარცის ჩანართები გაულღობელი მადანშემცველი ქანის ნარჩენები/რესტიტები უნდა იყოს (Hauptmann, 2000).

სავარაუდოდ საკვლევ ტერიტორიაზე მოპოვებულ წიდებში არსებული კვარცის ჩანართებიც მადანშემცველი ქანის ფრაგმენტებია, რადგანაც ლეჩხუმის ტერიტორიაზე არსებული მადნების უმეტესობა სწორედ კვარცის ძარღვებთან ასოცირდება.


2013-2022 წლებში აღმოჩენილი არტეფაქტების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სპილენძის სადნობ სახელოსნოებზე სამი ძირითადი ტიპის წიდის არსებობა დგინდება: (1) მასიური (კვერის ფორმის), (2) ნალვენთი და (3) ფირფიტისებრი წიდები (Flat slags). მიჩნეულია, რომ აღნიშნული ტიპის წიდები ლითონის დნობის სხვადასხვა ფაზის პროდუქტებია, ხოლო ქვიშა-ხვინჭკიანი წიდა (რომელიც მძლავრი ფენებით გვხვდება ლითონის სადნობ სახელოსნოებზე) მასიურისა და ნალვენთი წიდების დერვატი/გადამუშავების შედეგია (Addis A., 2012).

ტიპოლოგიური და პეტროგრაფიული კვლევის შედეგები ერთმანეთთან კორელაციაშია და გვიჩვენებს წიდების დიფერენციაციას. ამ ეტაპზე მთიანი კოლხეთის სპილენძის სადნობ სახელოსნოებზე გამოიკვეთა ლითონის დნობის ორი ფაზა, რომლის დროსაც მიიღება: (1) მასიური კვერის ფორმის წიდები და (2) მსუბუქი,

ფოროვანი - ნალვენთი წიდეები. რაც შეეხება ფირიფიტისებრ წიდეებს, მათი არსებობა მხოლოდ შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდით დგინდება. რადგანაც მათზე ამ ეტაპისთვის მათი პეტროგრაფიული და ქიმიური კვლევა არ განხორციელებულა. მომავალში, გათხრების გაფართოების შემდეგ, იგეგმება მათი კვლევა, რადგანაც არსებობს ჰიპოთეზა, რომ იქ სადაც არსებობს ფირიფიტისებრი წიდეები დნობა ორი საფეხურიანია და ადგილი აქვს როგორც წინასწარ გამოწვას ასევე დნობას (D'Amico et al., 1998). ფირიფიტისებრი წიდეებიდან მეტალურგიული პროცესის განმავლობაში ლითონი სრულად გამოდევნილია და მათი გადამუშავება ფლუსის სახით ხდებოდა, (Haubner R., et al., 2019).

მინერალიზებული ქანების პეტროგრაფია


ნიმუში # D672/22' – ბრეჩირებული წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვა, ნაპრალები ამოვსებულია ოქსიდიზირებული მადნეული მინერალებით (სურ. 62 ა).



სურ. 62 ა) Dog672/22'

ბ) X25 ppl

გ) X25ppl



სურ. 62 დ) X40 ppl

ე) X100 xpl

ვ) X100 xpl

ქანი ძლიერ არის გაკვარცხული, მას შლიფის დაახლოებით 60 % უკავია. დანარჩენ ფართობზე განვითარებულია სულფიდური მინერალები, რომელთა ნაწილი

ლიმონიტიზირებულია (ჟანგისფერი უბნები - სურ. 62 ვ). მიკროფოტოზე ჩანს კონტაქტის ზონა ძირითად ქანსა და სულფიდურ მარღვს შორის (სურ. 62 დ).


ნიმუში #D43/17 – მარღვული ქანი კონტაქტის ზონიდან (სურ. 63 ა).



სურ. 63 ა) D43/17

ბ) X25 ppl

გ) X25xpl



სურ. 63 დ) X40 xpl

ე) X100 xpl

ვ) X100 xpl

ქანი უმეტესად კალციტით (მოვარდისფრო-მომწვანო) და კვარცით (ნაცრისფერი და თეთრი) არის აგებული; გვხვდება ასევე ბოჭკოვანი (Fibrous) კვარცის მარღვაკები (სურ.63 გ და დ), რომელთაც გაკვეთილი აქვთ კალციტები. ჩვეულებრივად მსგავსი მარღვული მინერალები სავსეა მადნეული მინერალებით. კონკრეტული ნიმუში ღარიბია და არ შეიცავს მათ.


ნიმუში #D28/17 – მომწვანო მინერალიზებული და გაკვარცებული ქანი (სურ. 64 ა).




სურ. 64 ა) D28/17




ბ) X25 ppl




გ) X25xpl



სურ. 64 დ) X100 xpl



ე) X100 ppl




ვ) X100 xpl

პორფირული ქანი ძლიერ შეცვლილია, დამსხვრეული, პლაგიოკლაზის პორფირული გამონაყოფები თითქმის გათიხებულია, რომელთა შიგნით გვხვდება ეპიდოტ-ციოზიტის ჯგუფის მინერალები (და ვარდისფერი); მადნეული მინერალები მთლიანად შემოჭრილია ქანში და ქმნის გროვებს (შავი ფერის მინერალები); შლიფში გვხვდება წვრილმარცვლოვანი კვარცის გამონაყოფები, დაახ. 70%.


ნიმუში #D45'/18 – მუქი ნაცრისფერი ძლიერ მინერალიზებული ქანი კვარცის მარღვებით (სურ. 65 ა).




სურ. 65 ა) D45'/18



ბ) X25 ppl



გ) X25xpl



სურ. 65

დ) X40 xpl

ე) X100 xpl

ვ) X100 xpl

შლიფის 50% ორი გენერაციის, იდიომორფული (პირამიდული თეთრი კრისტალები) და მიკროკრისტალური კვარცისგან შედგება, ხოლო მეორე ნახევარი გალენიტით (მუქი ნაცრისფერი, სურ. 64 გ), ქალკოპირიტითა და პიროტინითაა შევსებული.


ნიმუში #D46/17 – წვრილმარცვლოვანი, ოქსიდიზირებული ქანი (სურ. 66 ა).




სურ. 66 D46/17




ბ) X25 ppl




გ) X25xpl



სურ. 66 დ) X40 xpl




ე) X100 ppl




ვ) X100 xpl

ინტენსიურად შეცვლილი კვარციანი ქვიშაქვა, პირიტიზირებულია, რომელიც ზოგან ერთიან გროვებს ქმნის (სურ. 66 გ); პირიტი ასევე გვხვდება ცალკეული კუბური ფორმის (შავი მინერალები/იზოტროპული) კრისტალების სახით (სურ. 66 ბ, ე, ვ).

ნიმუში #Op18/20 - პორფირული მომწვანო ფერის ქანი მადნეული მინერალების ჩანართებითა და თეთრი ფერის ძარღვებით (სურ. 67 ა).




სურ. 67 ა) Op18/20 ბ) X25 xpl გ) X25ppl



სურ. 67 დ) X40 ppl ე) X100 xpl ვ) X100 ppl

სტრუქტურა ალოტრიომორფულმარცვლოვანი. ძირითადი ქანი მთლიანად შეცვლილი, გაქლორიტებულია, ჩანს კვარცის ძარღვები (მარჯვენა კუთხე - სურ. 67 გ) და ასევე დიდ ზომის კალციტები (ვარდისფერი კრისტალი, მესერიტ სურ 67 ბ, ე და ვ - ზედა მარჯვენა კუთხე). რაც შეეხება სულფიდებს ისინი ზოგან კვარცის ძარღვებს მიუყვებიან პარალელურად (სურ. 67 გ), ზოგან კი ქმნიან ბრექჩიებს (სურ. 67 დ, ე, ვ - მუქი ფერის გროვები კუთხოვანი ჩანართებით).

ნიმუში #Op28/20 – პორფირული ქანი, მეტალთა ჩანართებით, რომელთა შორის ნაწილი ოქსიდიზირებულია (სურ. 68 ა).



სურ. 68 ა) Op18/20 ბ) X25 xpl გ) X40ppl



სურ. 68 დ) X40 ppl

ე) X100 xpl

ვ) X100 ppl

ძირითადი ქანის პორფირული სტრუქტურა ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს. შლიფში ჩანს პლაგიოკლასის პორფირული გამონაყოფები, რომელთაც ახასიათებთ ზონალობა და პოლისინთეტური მრჩობლები, ისინი ძლიერ დამსხვრეული და ასევე ძლიერ შეცვლილ ძირითად მასაშია მოქცეული, სადაც ასევე გვხვდება მადნეულ მინერალთა გლობულარული მარცვლები (შავი) და ჰემატიტიზაცია, რომელსაც რომლიდაც მინერალის სივრცე აქვს დაკავებული, რომლის იდენტიფიკაცია შეუძლებელია.


ნიმუში #Op62/20 – ღია ფერის პორფირული ქანი, სულფიდთა ჩანაწინწკლებით (სურ. 69, ა).



სურ. 69 ა) Op62/20

ბ) X25 xpl

გ) X40ppl




სურ. 69 დ) X40 ppl

ე) X100 xpl

ვ) X100 ppl

ნიმუში Op62/20 იგივე ქანია რაც Op28/20, მაგრამ აქ უკვე ძირითადი ქანის მინერალები მთლიანად კვარცითა და კალციტით არის ჩანაცვლებული (სურ. 69 ბ - ქვედა ნაწილი). ქანს აქაც ანალოგიური გამადნების პროცესი აქვს განცდილი. მრავალრიცხოვან სულფიდის გლობულებთან ერთად გვხვდება კვარცის მარღვის პარალელური მარღვაკები (სურ. 38 დ) და მადნეული მინერალების არშია (სურ. 69 გ).


ნიმუში# Op672/22' – თეთრი ფერის ქანი, სულფიდთა ჩანართებით (სურ. 70 ა).



სურ. 70 ა) Op672/22'

ბ) X25 xpl

გ) X25ppl



სურ. 70 დ) X40 xpl

ე) X100 xpl


ვ) X100 xpl

მიკროფოტოებზე ჩანს, რომ იზოტროპულ (შავი) მასას, რომელიც მადნეული მინერალებითაა წარმოდგენილი შლიფის 80% უკავია და ბრექჩირებულია. მადნეული მინერალები მოქცეულია კვარცებსა (თეთრი) და კალციტებში (ვარდისფერი). განსხვავებით ნიმუში #Op18/2-სგან ქანი ინტენსიურად არის დაბრექჩირებული.

ნიმუში #Ts(m)-2022 - მასიური სულფიდური მადანი, რომელიც ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ნიმუში მოპოვებულია რცხმელურის მიდამოებიდან (სურ. 71 ა)



სურ. 71 ა) Ts (m)2022 ბ) X25 xpl გ) X25ppl



სურ. 71 დ) X40 xpl ე) X100 ppl ვ) X100 xpl

აღნიშნულ შლიფში ფართობის 5%-ს იკავებს პირიტი, რომელიც წარმოდგენილია არათანაბარი კოროდირებული გამონაყოფებით. პიროტინი განვითარებულია ქანში ყველგან, ზოგან ერთეული მარცვლების სახით. პიროტინის მარცვალთშორის სივრცეებში განვითარებულია სფალერიტის იზომორფული და გალენიტის არათანაბარი გამონაყოფები. გალენიტი და სფალერიტი თითქმის ერთი და იგივე რაოდენობით გვხვდება, ჯამში შლიფის ფართობის 30%.

ქანების პეტროგრაფიული ანალიზის შედეგები

მადანშემცველი ნიმუშების მინერალოგიური შესწავლით დადგინდა, რომ მადნის შედგენილობაში შედის პირიტი, პიროტინი, სფალერიტი, გალენიტი და ქალკოპირიტი. ძარღვული მინერალებიდან ძირითადად კვარცი და ასევე კალციტი. მეორადი მინერალებიდან რკინის ჰიდროქსანი, კვარცი უმეტესად გვხვდება წვრილი მარცვლების სახით. კარბონატები ქსენომორფულია სულფიდებთან შედარებით და იკავებს დარჩენილ სივრცეებს. მინერალთა სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე განისაზღვრა შემდეგი თანმიმდევრობა: პირიტი, კვარცი, პიროტინი, სფალერიტი, გალენიტი, ქალკოპირიტი, კალციტი.

2.3 რადიოკარბონული (C14) ანალიზი

რადიოკარბონული ანალიზები გაერთიანებული სამეფოს, ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ისტორიის ლაბორატორიაში ჩატარდა. წიდეებიდან მოპოვებული ნახშირები დამუშავდა OxCal-ის რადიოკარბონული კალიბრაციის პროგრამის საშუალებით (სურ. 72) მიღებულია 5 ახალი თარიღი შემდეგი არქეომეტალურგიული ობიექტებისთვის:

საიტი: დოღურაში II - 42 40'40"N 42 47'34.20" E

(1) OxA-41668 RC-18-01, ნახშირი, წაბლი (Castanea) $d13C=-24.09$ 2839 \pm 16 BP.
თარიღი: 1050-926 BC (95,4%-იანი ალბათობით)

(2) OxA-41669 RC-18-2, ნახშირი, წაბლი (Castanea) $d13C=-25.82$ 2946 \pm 16 BP.
თარიღი: 1221-1109 BC (88,9% -იანი ალბათობით)


(3) OxA-41670 RC-18-3, ნახშირი, წაბლი (Castanea) $d13C=-25.38$ 2850 \pm 16 BP.
თარიღი: 1056-928 BC (91,4% ალბათობით)

საიტი: დოღურაში I, 42 40'40.90"N 42 47'5.50"E

(4) OxA-41671 RC-18-04, ნახშირი, წაბლი (Castanea)/მურყანი (Alnus) $d13C=-25.77$ 2929 \pm 16 BP
თარიღი: 1211-1052 cal BC (95,4% ალბათობით)

საიტი: გვერდისთავი I, 42 39'31.80"N 43 49'6.90"E

(5) OxA-41622 RC-18-05, ნახშირი, წაბლი (Castanea) $d13C=-26.45$ 2839 \pm 19 BP.
თარიღი: 1055 - 920 cal BC (95,4% ალბათობით).



სურ. 72. რადიოკარბონული დათარიღების გრაფიკები ნახშირის ნიმუშებიდან დოღურაში I, დოღურაში II და გვერდისთავის არქეომეტალურგიული ობიექტებიდან

საერთო ჯამში დოღურაში II-ისთვის მიღებული სამი თარიღი მოიცავს ძვ. წ. XIII-X საუკუნეების პერიოდს; დოღურაში I-ისთვის - ძვ. წ. XII-XI საუკუნეებს, ხოლო გვერდისთავი (ლუხვანო) - ძვ. წ. X-IX საუკუნეებს.

2.4 რენდგენოფლოურესცენტული სპექტრომეტრია (XRF)

აღ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში ენერგოდიპერსიულ რენდგენოფლოურესცენტრულ სპექტრომეტრზე ჩატარდა 2014-2021 წლებში აღმოჩენილი არქეომეტალურული ობიექტებიდან წიდევისა და მინერალიზირებული ქანების 47 ნიმუშის ანალიზი. აქედან 20 მადანიანი ქანის, 25 წიდა (მასიური ასევე მსუბუქი) 1 არტეფაქტი და 1 ღარიბი ზოდი (pure ingot) (ცხრილი# 1 და # 2).

ცხრილი #1

Nº	Location	Type of sample and description	Symbol	Al %	Fe %	Ni %	Cu %	Zn %	As %	Mo %	Sn %	Sb %	Pb %
1	Okureshi 1	slag, dense	Ok639/21	3.92	20.24	0.04	0.35	0.18	0.01	0.01	tr	0.01	0.05
2	Okureshi 2	slag, dense	Ok14/20	3.44	22.17	0.03	0.62	0.04	0.02	0.01	tr	0.01	0.09
3	Okureshi 2	slag, dense	Ok641/21	3.54	20.46	0.03	0.36	0.09	0.01	0.02	tr	0.01	0.03
4	Chikelashi	slag, dense	Ch10'/20	4.40	15.80	0.03	0.89	0.59	0.01	0.03	tr	0.03	0.04
5	Chikelashi	slag, dense	Ch10/20	3.51	20.83	0.04	0.58	0.70	0.01	0.03	tr	0.04	0.02
6	Dogurashi 2	slag, massive	Dog3/20	3.34	22.50	0.01	0.49	1.75	0.01	0.01	tr	0.01	0.10
7	Dogurashi 2	slag, dense	Dog14/19	2.27	29.64	0.03	0.70	8.39	0.01	tr	tr	0.01	0.58
8	Dogurashi 2	slag, dense	Dog11/19	2.52	22.06	0.03	0.38	0.48	0.01	0.03	tr	0.01	0.03
9	Dogurashi 1	slag, malachite	Dog2/14	2.56	17.06	0.02	1.07	0.37	0.01	0.01	tr	0.02	0.06
10	Dogurashi 1	slag, dense	Dog6/19	1.71	20.31	0.03	0.40	0.37	tr	0.01	tr	tr	0.06
11	Dogurashi 1	slag	Dog2'/14	2.56	17.06	0.02	1.07	0.37	0.01	0.01	tr	0.02	0.06
12	Ladzgeria	slag, tap	Laz12/14	4.89	43.91	tr	tr	0.02	tr	tr	tr	tr	0.01
13	Letsperi 3	slag, tap	Let382/19	3.48	22.64	0.05	0.52	0.57	0.01	0.02	tr	0.02	0.02
14	Letsperi 3	slag, dense	Let382'/19	3.34	23.44	0.03	0.50	0.07	0.01	0.01	tr	0.01	0.02
15	Dogurashi 2	poor ingot	Dog1/19	4.65	14.86	0.03	0.13	0.81	0.01	tr	tr	0.01	0.07
16	Gabonalia	slag, dense	Ga1/14	6.59	17.15	0.01	1.00	0.91	0.01	tr	tr	tr	0.03
17	Shavbinula	slag, dense	Sh649/21	3.41	18.09	0.03	0.44	0.77	0.01	0.02	tr	0.03	0.01
18	Okureshi 1	slag, porous	Ok11'/20	5.08	31.91	0.03	0.64	0.05	0.04	0.01	tr	0.01	0.11
19	Okureshi 2	slag, porous	Ok16/20	4.37	20.94	0.03	0.66	0.50	0.02	0.01	tr	0.01	0.02
20	Chikelashi	slag, porous	Ch367/19	3.22	18.22	0.02	1.14	0.26	0.02	0.06	tr	0.05	0.04
21	Chikelashi	slag, porous	Ch6/19	3.49	16.00	0.05	1.31	1.51	0.01	0.01	tr	0.02	0.04
22	Lukhvano	slag, porous	Lu391/18	3.96	21.03	0.03	0.30	0.69	0.01	0.01	tr	0.01	0.05
23	Gabonalia	slag, porous	Ga362/19	3.14	21.74	0.03	0.36	0.38	0.01	tr	tr	tr	0.01
24	Letsperi 3	slag, light	Let382''/19	4.78	27.07	0.03	0.40	0.10	0.02	tr	tr	0.01	tr
25	Gvimbrala	slag, porous	Gv652/21	1.25	43.02	0.01	0.45	0.63	0.01	tr	tr	0.01	0.01
26	Dogurashi 2	slag, porous	Dog3'/20	2.75	24.45	0.02	4.10	0.33	0.04	0.01	tr	0.02	0.05
27	Opitara	artefact	Op 543/21	1.45	2.87	0.07	77.19	0.26	0.36	tr	tr	tr	0.18

წიდეზზე ჩატარებული ენერგოდიპერსიული რენტგენოფლოურესცენტული ანალიზის შედეგები

ცხრილი #2

№	Location	Type of sample and description	Symbol	Al %	Fe %	Ni %	Cu %	Zn %	As %	Mo %	Sn %	Sb %	Pb %
28	Opitra	mineralized rock	Op28/20	5.01	19.06	0.04	0.01	0.01	tr	tr	tr	tr	0.01
29	Opitra	mineralized rock	Op62/18	0.19	25.64	0.03	4.05	0.03	tr	tr	tr	tr	tr
30	Opitra	mineralized rock	Op63/18	0.47	25.82	0.04	4.45	0.02	0.01	tr	tr	tr	0.02
31	Opitra	mineralized rock	Op63'/18	0.34	24.11	0.02	2.53	0.02	tr	tr	tr	tr	0.01
32	Opitra	mineralized rock	Op18/20	1.38	26.35	0.02	0.63	0.02	0.27	0.01	tr	tr	0.03
33	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 45/18	1.95	6.51	0.03	0.10	tr	0.06	tr	tr	tr	0.01
34	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 45'/18	4.65	13.20	0.09	4.43	18.93	0.02	tr	tr	tr	10.46
35	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 45''/18	6.94	16.83	0.10	4.58	15.77	0.05	tr	tr	0.01	13.96
36	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 45'''/18	5.37	3.37	0.00	tr	0.17	tr	tr	tr	tr	0.08
37	Dogurashi	mineralized rock	Dog 61/18	7.57	0.73	0.01	tr	0.06	tr	tr	tr	tr	tr
38	Dogurashi	mineralized rock	Dog 30/17	3.73	44.44	0.05	0.17	0.03	0.02	tr	tr	tr	0.04
39	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 46/18	7.71	7.40	0.02	0.01	0.01	tr	tr	tr	tr	tr
40	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 21'/20	0.61	17.66	0.09	3.00	8.29	0.09	tr	0.01	0.03	23.92
41	Dogurashi-nargvevi	mineralized rock	Dog 20/20	tr	tr	tr	tr	tr	tr	tr	tr	tr	tr
42	Dogurashi	mineralized rock	Dog 61/18	7.57	0.73	0.01	tr	0.06	tr	tr	tr	tr	tr
43	Dogurashi	mineralized rock	Dog 60/18	6.85	14.09	0.03	0.03	tr	tr	tr	tr	tr	0.01
44	Rtskhmeluri	mineralized rock	Rts1/19	0.29	30.06	0.01	0.03	0.03	1.20	tr	tr	0.02	0.07
45	Gabonalia-zubi	mineralized rock	Gab3/14	10.70	4.26	0.00	tr	0.01	tr	tr	tr	tr	tr
46	Mokaulis gelem	mineralized rock	Mok 644/21	8.00	4.35	0.03	0.01	tr	tr	tr	tr	tr	tr
47	Mokaulis gelem	mineralized rock	Mok 643/21	3.19	5.31	0.01	0.01	0.01	0.05	tr	tr	0.01	0.01

მინერალიზირებულ ქანებზე ჩატარებული ენერგოდისპერსიული რენტგენოფლოუორესცენსული ანალიზის შედეგები

2.5 ატომურ-აბსორბციული ანალიზი (AAS)

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ (CMG) ქიმიურ ლაბორატორიაში წიდებისა და მინერალიზირებულ ქანების 52 ნიმუშზე ჩატარებული ატომურ-აბსორბციული ანალიზით განისაზღვრა კეთილშობილ (ოქრო-Au, ვერცხლი-Ag), და ფერად ლითონთა (სპილენძის-Cu, ტყვიის- Pb, თუთიის-Zn, რკინის-Fe) შემცველობები.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ოქროს შემცველობა არცერთ სინჯში არ ფიქსირდება. პრეისტორიული წილებდან სინჯებში სპილენის (0.14-1.06%), თუთიისა (0.06 -1.13%), ტყვიის (0.02-11.8%,) და რკინის (130-174 კგ/ტონაზე) მაღალი შემცველობებია გამოვლენილი. მინერალიზებული ქანებიდან გამორჩეულად მდიდარია ნიმუშები ოფიტარადან, სადაც სპილენძის მაღალი შემცველობები (3,2-4.6 კგ/ტონაზე) ფიქსირდება. უშუალოდ მაღაროდან გამოტანილი გამორჩევა ვერცხლის (1,25კგ/ტ), ტყვიის (73კგ/ტ), და თუთიის (18,4კგ/ტ), ძალიან დიდი შემცველობებით. როგორც მოსალოდნელი იყო კორვაშიდან მოპოვებულ ოქსიდიზირებულ კონკრეციაში (Kor29/20) დაფიქსირებულია რკინის მაღალი - 294კგ/ტონაზე შემცველობა; ასევე ოფიტარაში აღმოჩენილ შუა საუკუნეების პერიოდის წიდაში (Op30/20) მაღალია მხოლოდ რკინის რაოდენობა -262კგ/ტონაზე (ცხრილი #3 და #4).

ცხრილი #3



Customer name: GNM
Date of sampling:
Date:

BOX-5204
Ltd. Caucasus Mining Group
28.09.2020
19.10.2020

Method of analysis	Au-AR	Au-AR	Ag-AR	Ag-AR	Cu-AR	Cu-AR	Pb-AR	Pb-AR	Zn-AR	Zn-AR	Fe-AR
Tool	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS	AAS
Analytical element	Au	Au,Ch.	Ag	Ag,Ch.	Cu	Cu,Ch.	Pb	Pb,Ch.	Zn	Zn,Ch.	Fe
განსვრთული აღმორ.ზღვარი	ppm	ppm	ppm	ppm	%	%	%	%	%	%	%
Weight (gr.)	20	20	2	2	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5
Reference QC	G915-7 4.94		GBM907-13 13.00		GBM907-13 1.69		GBM907-13 0.41		GBM907-13 6.63		GBM907-14
Target Range-	L.Bound	4,54			1,57		0,37		6,05		33,90
	U.Bound	5,34			1,81		0,45		7,21		
Reference QC	4,87		15,32		1,67		0,42		6,20		32,00
BLANK	0,01				0,01		0,01		0,01		
1 Ok-12/20 -slag (1)	0,14		7,52		0,90		0,04		0,50		17,46
2 Ok-11/20-slag (2)	0,15		3,40		0,43		0,04		0,10		13,80
3 Dog-6/20-slag (1)	0,12		3,35		0,44		0,05		0,39		16,66
4 Dog-3/20-slag (2)	0,14		7,08		0,89		0,14		0,75		14,44
5 Ch-10/20-slag	0,12	0,10	5,58	5,29	0,66	0,66	0,05	0,04	0,82	0,78	12,56
6 Op-18/20-ore from adit	0,01		2,75		0,46		0,01		0,01		4,58
7 Op-28/20-ore from adit	0,05		125,37		0,32		7,30		1,84		3,87
8 Kor-29/20-concretion	0,12		3,16		0,01		0,03		0,01		29,40
9 Dog-7/20-rock	0,02		1,75		0,01		0,01		0,01		2,95
10 Nar-21/20 ore	0,11	0,10	2,00	2,00	0,01	0,01	0,01	0,01	0,01	0,01	10,80
11 Op-30/20-medival slag	0,13		3,68		0,01		0,04		0,02		26,20
12 Sv-376/19-ore	0,02		1,64		0,01		0,01		0,01		2,11

საანალიზის მეთოდი		Ag-AR	Cu-AR	Pb-AR	Zn-AR	Fe-AR
ხელსაწყო		AAS	AAS	AAS	AAS	AAS
საანალიზო ელემენტი		Ag	Cu	Pb	Zn	Fe
განსაზღ. ერთეული		ppm	%	%	%	%
ნიმუშის ნომერი/	ნიმუშის ტიპი					
D2-800/22	წიდა, კვერი	6.90	0.71	0.23	0.73	32.15
D2-801/22	წიდა, ნალვენტი	25.37	1.06	0.91	0.74	16.34
D2-802/22	წიდა, კვერი	13.19	0.19	11.80	0.83	23.65
D1-803/22	წიდა, ნალვენტი	4.63	0.55	0.33	0.57	7.68
D2-13/19	წიდა/კვერი	3.00	0.63	0.03	0.22	44.17
D2-4/20	წიდა, ნალვენტი	9.67	0.79	0.14	0.38	10.12
D2-3/20	წიდა/კვერი	4.12	0.56	0.10	0.38	26.35
D1-11/22	წიდა/კვერი	3.46	0.42	0.05	0.19	27.56
D1-5/20	წიდა/კვერი	5.05	0.40	0.16	1.13	19.28
D2-12/22	წიდა, ნალვენტი	9.00	0.68	0.26	0.32	9.24
D-672/22	ქანი	4.29	0.31	0.51	0.26	5.10
D-672/22'	ქანი	22.58	0.72	3.90	1.95	11.52
D-672/22''	ქანი	7.31	0.34	0.34	0.37	4.67
D-672/22'''	ქანი	13.63	1.03	1.05	2.32	7.68
D-20/20	ქანი	3.98	0.21	1.09	1.72	9.41
D-28/17	ქანი	3.72	0.81	2.02	2.05	4.82
D-804/22	ქანი	5.26	0.28	0.75	0.88	6.71
D-45'''/18	ქანი	39.37	0.81	2.80	5.49	14.96
D-39/18	ქანი	12.91	1.63	0.42	1.22	16.21
D-5/19	ქანი	7.13	0.43	1.04	2.08	8.26
D-669/22	ქანი	2.47	0.21	2.32	1.56	5.82
Ok1-639/21	წიდა/კვერი	3.54	0.27	0.84	0.11	34.13
Ok1-11/20	წიდა, ნალვენტი	4.17	0.53	0.07	0.13	14.34
Ok1-805/22	წიდა/კვერი	3.00	0.14	0.04	0.17	21.45
Ok1-806/22	წიდა, ნალვენტი	3.41	0.36	0.06	0.16	8.63
Ok1-639/21	წიდა/კვერი	2.63	0.31	0.05	0.11	53.17
Ok2-641/21	წიდა/კვერი	3.71	0.61	0.02	0.06	41.12
Ok2-518/20	წიდა/ნალვენტი	3.22	0.39	0.04	0.11	16.35
Ok2-12/20	წიდა/კვერი	3.31	0.44	0.03	0.27	25.52
Ok2-671/22	წიდა/კვერი	3.34	0.42	0.03	0.17	15.28
Ok2-14/20	წიდა/კვერი	4.38	0.67	0.02	0.26	19.24
Op-18/20	ქანი	4.75	1.85	0.92	0.79	5.96
Op-807/22	ქანი	4.65	0.57	1.16	0.81	7.39
Op-808/22	ქანი	3.96	1.72	0.61	0.83	6.00
Op-25/17	ქანი	5.92	1.61	2.42	1.17	4.12
Op-63/18	ქანი	11.64	2.42	3.13	1.11	15.44
Op-28/20	ქანი	10.88	3.44	4.05	2.34	8.23
Op-1/17	ქანი	2.12	0.92	1.51	5.61	5.89
Op-809/22	ქანი	4.37	2.19	2.35	0.86	7.41
Op-62'/18	ქანი	3.75	1.59	1.67	0.55	4.79

ცხრილი#4

მინერალიზებული ქანების რენტგენოფლუორესცენციული და ატომურ აბსორბციული ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ პირველადი მადანი სპილენძ-თუთია ტყვია პიროტინულია (ცხრილი #1-#4). წილებზე ჩატარებული იგივე ანალიზის შედეგები კორელაციაშია მინერალიზებული ქანების შედეგებთან ადასტურებს, რომ კოლხი მეტალურგები იყენებდნენ ადგილობრივ მადანს.

2.6 პალინოლოგიური ანალიზი

პალინოლოგიური ანალიზისთვის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში სტანდარტული პროტოკოლის მიხედვით დამუშავდა (Moore et al. 1991). პირველ ეტაპზე მასალა - წილებსა და კერამიკის ნაპრალებიდან დაგროვილი სედიმენტი მოიხარშა კალიუმის ტუტის 10% ხსნარში ორგანული ნაშთების გამოსარეცხად. მიღებული ნახარშის ცენტრიფუგირების შემდეგ, მეორე ეტაპზე, მას დაემატა კადმიუმის მძიმე სითხე, რათა მოხდარიყო ორგანული ნაშთების გამოყოფა ცენტრიფუგირების საშუალებით. აღნიშნული პროცესის დროს მძიმე სითხემ მინერალური ნაწილი უფრო დაამძიმა და ჭურჭლის ძირში ჩაძირა, ხოლო ორგანული მასალა კი ზედაპირზე ამოტივტივდა. ბოლო ეტაპზე მიღებული ორგანული მასალა შეიღება აცეტოლიზის საშუალებით. პალინომორფების იდენტიფიკაცია, დათვლა და ფოტოგადაღება ახალი თაობის სინათლის მიკროსკოპის Olympus BX 43-ის, ხოლო, შედეგების სტატისტიკური ანალიზი და დიაგრამების აგება პროგრამა Tilia-ს საშუალებით მოხდა (Grimm 2011).

უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზე მასალა (წილები და ტექნიკური კერამიკის ფრაგმენტები) კვლევისთვის ვარგისი გამოდგა, რადგან იგი შეიცავდა მცენარეთა მტვრის მარცვლებს და სხვა სახის არაპალინოლოგიური ხასიათის პალინომორფებს - ხის მერქნის პარენქიმულ უჯრედებს, ფიტოლიტებს, სახამებელს, ქსოვილის ბოჭკოს, მწერების ბუსუსებს და კლანჭებს, სოკოს სპორებს და სხვა.

პალინოლოგიის გარდა გამოყენებული იქნა 2018-2019 გათხრებისას შეგროვილი უძველესი ლითონის სადნობი სახელოსნოებიდან რადიოკარბონული დათარიღებისთვის მომზადებული ნახშირის ნიმუშების მაკრობოტანიკური კვლევა, რომელიც ჩატარდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, მკვლევარ დანა ჩალლინორის მიერ. დათარიღებისთვის შესაფერისი მასალის შესარჩევად და სახეობების მრავალფეროვნების დასახასიათებლად, რათა დადგენილიყო თუ რა სახეობას მოიხმარდნენ გვიანბრინჯაოს ხანაში საწვავისთვის გამოკვლეული იქნა ნახშირის ათი ნიმუში. იდენტიფიკაციისას სტანდარტული პროცედურები იყო დაცული, ფრაგმენტები მოთავსდა ქვიშის აბაზანაში მაღალი გამადიდებლობის ქვეშ.

იდენტიფიკაცია ჩატარდა მხოლოდ გვარის დონეზე და არ ყოფილა მცდელობა სახეობების ანატომიურად განცალკევების შესახებ.

გვიან ბრინჯაოს ხანის ლითონის სადნობ ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტების პალინოლოგიური კვლევა პირველი მცდელობაა. მსგავსი კვლევა ჯერ საქართველოს არცერთ არქეომეტალურგიულ ძეგლზე არ ჩატარებულა. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ გვიან ბრინჯაოს ხანის მთიანი კოლხეთის (ლექხუმი) პალეოლანდშაფტის, კლიმატური პირობების, ტაფონომიისა და ადამიანის საქმიანობის შესახებ მონაცემები.

არტეფაქტების პალინოლოგიური ანალიზის შედეგები

(1) **საიტი დოღურაში I** მდებარეობს ლექხუმის ქედის დასავლეთ კიდის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 880 მეტრ სიმაღლეზე (GPS - 42°40'41.09"N; 42°47'5.53"E). წიდის ნიმუშის #Dog5/20.

წიდის ორგანული ნაშთების პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ხემცენარეთა მტვრის მარცვლებისა და ტყის გვიმრების რაოდენობა (სურ.73). ფართოფოთლოვან მცენარეთა შორის დომინანტია მურყანი (*Alnus*) და წაბლი (*Castanea*), ნაკლებად გვხვდება წიფლის (*Fagus*) მტვრის მარცვლები. წიწვოვნების ჯგუფში განისაზღვრა ფიჭვი (*Pinus*), სოჭი (*Abies nordmanniana*) და ნაძვი (*Picea orientalis*). სპექტრში ასევე აღმოჩნდა ისეთი სითბოსმოყვარული ფლორის ელემენტები, როგორცაა ძელქვა (*Zelkova*), ცაცხვი (*Tilia*), მუხა (*Quercus*) და თხილი (*Corylus*).

ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს ტყის გვიმრის სპორები. გვიმრებს შორისაა ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*), რომელიც, როგორც წესი, იზრდება ლანდშაფტის ღია ადგილებზე, სადაც ტყე გაჩეხილია (Page 1986; Seyanzobe *et al.*, 2020). ნაკლებადაა მრავალძარღვას (*Plantago*) მტვრის მარცვლები, რომლებიც იზრდება გზისა და ბილიკების პირას, ადამიანის საცხოვრებლთან ახლოს და სანაგვეებზე (Behre 1981).

არაპალინოლოგიური პალინომორფებს შორის ჭარბობს დამწვარი ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები (სურ.74). განისაზღვრა ფიჭვის (*Pinus*) ისეთი უჯრედები, რომლებიც ბოლომდე ვერ განახშირდა ან ფიჭვის ბუნებრივად დაშლის შედეგად წარმოიქმნა. ცოტაა თელას (*Ulmus*) მერქნის უჯრედებიც. ნაკლებადაა სოკოს სპორები, სახამებელი, სელის ქსოვილის ბოჭკო და მწერების მიკროსკოპიული ნაშთები. საინტერესო ფაქტია, რომ განხილულ სპექტრში ნაპოვნია მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები (ზიგოსპორები) – სპიროგირა (*Spirogyra*) და პსევდომიზეა (*Pseudoschizaea*), რომელიც თხილი კლიმატის კარგი ინდიკატორია (Scott 1992; Medeanic, Silva 2010).

(2) საიტი დოღურაში II ლეჩხუმის ქედის დასავლეთ კიდის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1084 მეტრ სიმაღლეზე, დოღურაში I-დან აღმოსავლეთით 5 კმ-ში მდებარეობს (GPS 42°40'39.40"N; 42°47'32.70"E). წიდის ნიმუში #Dog 4/20.

წიდის ორგანული ნაშთის პალინოლოგიური სპექტრი გამოირჩევა მცენარეთა მტვრის ტაქსონომიური და რაოდენობრივი სიმდიდრით. უხვადაა წაბლის (*Castanea sativa*) და მურყნის (*Alnus barbata*) მტვრის მარცვლები. აღნიშნა ასევე ცაცხვის (*Tilia*), რცხილას (*Carpinus betulus*), მუხის (*Quercus*), ტირიფისა (*Salix*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. დოღურაში II-ის ნიმუშში წიწვოვნების რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე დოღურაში I-ში.

ბალახოვანთა ჯგუფში ჭარბობს ტყის გვიმრების სპორები (Polypodiaceae), მაგრამ ეწრის გვიმრის სპორების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დოღურაში I-ზე. რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ ადგილას ტყისგან თავისუფალი - ღია ლანდშაფტი (მდელოები) უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დოღურაში I-ზე. განხილულ ნიმუშში მეტია ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების ისეთი მაჩვენებლები/მარკერები, როგორცაა სათესი მარცვლოვნების მტვერი (Cerealia) და ხორბლის ნათესების სარეველები - ნაცარქათამა (*Chenopodium*), მატიტელა (*Polygonum*) და ბაია (*Ranunculus*). დაფიქსირდა ეზოს რუდერალური მცენარეების მტვრის მარცვლები - მრავალძარღვა (*Plantago*) და ავშანი (*Artemisia*). ეს ნიშნავს, რომ დოღურაში II ზე მეტალურგიული წარმოება უფრო ხანგრძლივად მიდიოდა, ვიდრე დოღურაში I-ზე. ამასვე ადასტურებს დოღურაში 2-ზე გათხრებისას სტრატეგრაფიულ ჭრილში დაფიქსირებული სადნობი სახელოსნოს რამდენიმე დონე (Sulava et al, 2020; Sulava et al, 2020 (a)).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები (სურ.74). დაფიქსირდა აგრეთვე ფიჭვის მერქნის დაშლილი უჯრედები. სპექტრში არის სახამებელი, მარცვლოვნების ფიტოლიტები, სოკოს სპორები. გვარამდე განისაზღვრა ნაკელის სოკოს ცერკოფორას (*Cercophora*) სპორები. მცირე რაოდენობითაა სელის ქსოვილის ბოჭკო და მწერების მიკროსკოპიული ნაშთები.


(3) საიტი დოღურაში III ლეჩხუმის ქედის დასავლეთ კიდის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს (GPS 42°40'33.3"N; 42°47'19.9"E). დოღურაში II-დან აღმოსავლეთის მიმართულებით 1 კმ-ში მდებარეობს. წიდის ნიმუში #Dog674/22.

დოღურაში III-ის წიდის ორგანული ნაშთის პალინოლოგიური სპექტრი მსგავსია დოღურაში 2-ის სპექტრის. აქაც ჭარბობს წაბლის (*Castanea sativa*) მტვრის რაოდენობა

(სურ. 73). ხემცენარეთაგან ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies*), ნაძვის (*Picea*), მურყნის (*Alnus*), რცხილას (*Carpinus betulus*), მუხის (*Quercus*), ბამგის (*Ilex*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვანთა ჯგუფში უხვადაა ტყის გვიმრების სპორები (სურ.1). გვხვდება აგრეთვე ქოლგოსნების (*Apiaceae*), ნაცარქათამასებრნის (*Chenopodiaceae*), ასტრასებრნის (*Asteraceae*) მტვერი. მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი სარეველების მტვრის მარცვლები - მრავალმარღვა (*Plantago*), ავშანი (*Artemisia*) და მათიტელა (*Polygonum*).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს სახამებელი, მათ შორის, ხორბლის (სურ.74). კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები. ბევრია აგრეთვე ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები, მწერების ნაშთები - ბუსუსები და კლანჭები. დაფიქსირდა სოკოს სპორები, მათ შორისაა, ობის სოკოს (*Mucoraceae*), ნაკელის სოკოს სორდარიასა (*Sordaria*) და ჰაეტომიუმის (*Chaetomium*) სპორებიც. განისაზღვრა სოკო უსტულინას (*Ustilina*) სპორებიც, რომლებიც იზრდება მხოლოდ მოჭრილი ხის მერქანზე. არც თუ ისე მცირეა მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები - *Zygnemataceae*, *Dinoflagellata*, *Pseudoschizaea* (სურ.2). ცოტაა სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო.



სურ. 73. ლეჩხუმის გვიანბრინჯაოს ხანის მეტალურგიული წარმოების ნარჩენებსა და თანამედროვე ნიადაგში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის (პალინოლოგიური) რაოდენობრივი დიაგრამა.


(4) საიტი ოყურეში I (დიდლოდები) მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხვამლის კირქვული მასივის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1080 მ სიმაღლეზე მდებარეობს (GPS 42°31'33.76"N; 42°42'33.23"E). წიდის ნიმუშის # Ok7/20 და Ok670/22.

წიდების ორგანული ნაშთის პალინოლოგიური სპექტრი არ არის ისეთივე მდიდარი, როგორც დოღურაშის ნიმუშების. ხემცენარეთაგან განისაზღვრა სულ 6 ტაქსონი (სურ.73). დომინირებს მურყნისა (*Alnus*) და თხილის (*Corylus*) მტვერი. ბევრია რცხილა

(*Carpinus betulus*), ერთეულია წაბლის (*Castanea sativa*), ფიჭვისა (*Pinus*) და არყის (*Betula*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებიდან გვხვდება სხვადასხვა განუსაზღვრელი გვიმრების (Polypodiaceae) სპორებით, ასევე გვიმრა გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*), ეწრის გვიმრისა (*Pteridium aquilinum*) და სხვა გვიმრის სპორები. მცირე რაოდენობითაა მათიტელას (*Polygonum*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ პალინომორფებს შორის უხვადაა ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები. გვხვდება ფიჭვის დაშლილი უჯრედებიც (სურ.74). დიდია სახამებლის მარცვლების რაოდენობა, რომელთა შორის განისაზღვრა ხორბლის (*Triticum*) სახამებელი. აღმოჩენილია მარცვლოვნების ფიტოლიტები, სოკოს სპორები და მათი ჰიფები. ნაპოვნია მწერების ბუსუსები და სხვა ნაშთები. ნაკლებად გვხვდება ტვიპების მიკროსკოპული ნაშთებიც. ცოტაა სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო და მტკნარი წყლის წყალმცენარე ფსეუდოშიზეას (*Pseudoschizaea*) ზიგოსპორები.



სურ. 42. ლეჩხუმის გვიანბრინჯაოს ხანის მეტალურგიული წარმოების ნარჩენებსა და თანამედროვე ნიადაგში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ნაშთების (NPP) რაოდენობრივი დიაგრამა.

(5) საიტი ოყურეში II ა (სათიბები) მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხვამლის კირქვული მასივის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1155 მ სიმაღლეზე მდებარეობს (GPS 42°31'27.14"N; 42°42'37.94"E). იგი ოყურეში I ლითონის სადნობი სახელოსნოდან სამხრეთ აღმოსავლეთით ≈2 კმ-ში მდებარეობს. ტექნიკური კერამიკის (ტიგელის) ნიმუშის # Ok671/22.

ტექნიკური კერამიკის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრი, ისევე როგორც ოყურეში I წილის სპექტრი არ ხასიათდება პალინომორფების სიმდიდრით. განისაზღვრა მხოლოდ 9 მცენარის მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა შორის ჭარბობს

ფიჭვი (*Pinus*), მეორე დომინანტია მურყანი (*Alnus*). ცოტაა ჯაგრცხილასა (*Carpinus orientalis*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებში ბევრია ტყის გვიმრების სპორები (სურ.73), რომელთა შორისაა ეწრის გვიმრაც (*Pteridium aquilinum*), რომელიც ტყის გაკაფვის შემდეგ მოშიშვლებულ ადგილებზე იზრდება (Page 1986; Senyanzobe *et al.*, 2020). მცირე რაოდენობითაა სათესი მარცვლოვნების (*Cerealia*) – მრავალძარღვასა (*Plantago*) და ავშნის (*Artemisia*) მტვრის ცალკეული მარცვლები.

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში ჭარბობს სახამებელი, მათ შორის ხორბლის. მეორე დომინანტია ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები, ხოლო ფიჭვის დაშლილი უჯრედები კი ცოტა. საკმაოდ მრავლადაა სელის ქსოვილის ბოჭკო (სურ.74). ცოტაა მარცვლოვნების ფიტოლიტები, სოკოს სპორები და მცენარეთა ეპიდერმისი. ზოოლოგიური ნაშთებიდან გვხვდება ძირითადად მწერების ბუსუსები და მათი ეპიდერმისი.

(5) საიტი ოყურეში II ბ (სათიბები). წიდის ნიმუშის #Ok16/20, Ok 671/22. ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრი უაღრესად ღარიბი აღმოჩნდა. ხემცენარეთაგან ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), სოჭისა (*Abies nordmanniana*) და რცხილას (*Carpinus betulus*) ერთეული მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებში უხვადაა გვიმრების სპორები, რომელთა შორისაა გველის ენა (*Opioglossum vulgatum*) და ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*). შედარებით ცოტაა მრავალძარღვას (*Plantago*) მტვერი.

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში დომინირებს ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები. ცოტაა ფიჭვის დაშლილი ხის მერქნის უჯრედები. დიდი რაოდენობითაა სახამებელი. სოკოს სპორები, ფიტოლიტები და მწერების ნაშთები არც თუ ისე ცოტაა. აღინიშნება აგრეთვე სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო (სურ. 75 ბ).

(6) საიტი ლუხვანო (გვერდისთავი) მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1370 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს (309756 N; 4725374N). წიდის ნიმუშის # Gv676/22.

წიდის ორგანული ნაშთის პალინოლოგიური სპექტრი მდიდარი და საინტერესო აღმოჩნდა (სურ. 73, 74). განისაზღვრა 25 მცენარის მტვერი და სპორა. არაპალინოლოგიური პალინომორფის რაოდენობა 12-ს შეადგენს. დიდია აგრეთვე მტვრის მარცვლებისა და სპორების რაოდენობა. ხემცენარეთა შორის ჭარბობს მურყანი. ბევრია წიწვოვნების - ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies nordmanniaceae*) და ნაძვის (*Picea orientalis*) მტვრის მარცვლები. ფართოფოთლოვნებში კარგადაა წარმოდგენილი

რცხილასა (*Carpinus betulus*) და წაბლის (*Castanea sativa*) მტვრის რაოდენობა (სურ.41). მუხის (*Quercus*), წიფლის (*Fagus orientalis*), ცაცხვის (*Tilia*) მტვრის როლი პალინოლოგიურ სპექტრში ნაკლებია. გვხვდება კაკალის (*Juglans regia*), თელას (*Ulmus*), ტირიფის (*Salix*), თხილის (*Corylus*) ერთეული მტვრის მარცვლები.

ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს გვიმრის სპორები. საკმაო რაოდენობით განისაზღვრა ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორები. გვხვდება გვიმრა გველის ენას (*Ophioglossum vulgatum*) და გვიმრა მარგალიტას (*Bortyichium lunaria*) სპორები. ცოტაა ნაცარქათამას (*Chenopodiaceae*), მიხაკისნაირების (*Caryophyllaceae*), ავშნის (*Artemisia*), ვარდკაჭაჭასნაირების (*Chichorioideae*), ველური მარცვლოვნებისა (*Poaceae*) და პოლემონიუმისებრნის (*Polemoniaceae*) მტვერი.

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში დომინირებს სახამებელი, სადაც ნაპოვნია ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების სახამებელი. მეორე დომინანტია ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები (სურ. 75 ბ). ბევრია ბალახოვნების ფიტოლიტები და მცენარეთა ეპიდერმისი. სპექტრში ნაკლები როლი აქვთ სოკოს სპორებს, მათ სპორანგიუმებსა და ჰიფებს. ცოტაა აგრეთვე მწერებისა და წყალმცენარეთა ნაშთები (სურ. 74).

(7) საიტი ჭიქელაში ჭიქელაშის ქედის სამხრეთ ფერდზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1445 მ სიმაღლეზე (42°39'29.53"N; 42°44'21.19"E) მდებარეობს. წილის ნიმუშის ##Ch9/20, Ch667/22.

წიდიდან ამოღებული ორგანული ნაშთის პალინოლოგიური სპექტრი არ არის მდიდარი. განისაზღვრა მცენარეთა მხოლოდ 12 ტაქსონი. ხემცენარეთა შორის აღმოჩენილია ფიჭვის (*Pinus*), მურყნის (*Alnus*), რცხილას (*Carpinus betulus*), ტირიფისა (*Salix*) და თხილის მტვრის მარცვლების მცირე რაოდენობა.

ბალახოვნებში ჭარბობს გვიმრების სპორები, რომელთა შორისაა, ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*) და გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*). გარდა ამისა, მცირე რაოდენობით დაფიქსირდა მრავალძარღვას (*Plantago*), ავშნისა (*Artemisia*) და ქოლგოსნების (*Apiaceae*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში ჭარბობს ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები. განისაზღვრა ფიჭვის უჯრედები. ასევე ბევრია სახამებელი და ფიტოლიტები. სპექტრში ბევრია სელის, ხოლო ცოტა ბამბის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობით დაფიქსირდა მწერების ნაშთები და სოკოს სპორები.

(7) საიტი ჭიქელაში. ტექნიკური კერამიკის (ტიგელი) ნიმუშის #Ch671/22. ტექნიკური კერამიკიდან (ტიგელის) მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიურ სპექტრში განისაზღვრა 11 მცენარის მტვერი და სპორა.


ხემცენარეთაგან აღინიშნა არყის (*Betula*), ცაცხვის (*Tilia*), კვიპაროსისნაირთა (*Cupressaceae*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებში დომინირებს გვიმრების სპორები. განისაზღვრა გვიმრა მარგალიტა (*Botrychium lunaria*), გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*) და ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*). ცოტაა მრავალძარღვას (*Plantago*), ავშნისა (*Artemisia*) და ნაცარქათამას (*Chenopodium*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს შორის ჭარბობს სახამებელი და ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები. უხვადაა სელის ქსოვილის ბოჭკო და მწერების ნაშთები. ცოტაა ბამბის ქსოვილის ბოჭკო და სოკოს სპორები.

თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური ანალიზი

(1) დოღურაშის მიდამოების თანამედროვე ნიადაგის სინჯი აღებული იქნა დოღურაში III ლითონის სადნობი სახელოსნოს მიდამოებიდან. დღეს დოღურაშის მიდამოების ფოთლოვან ტყეში იზრდება რცხილა, მუხა, ცაცხვი, წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი, მურყანი. ქვეტყეს წარმოადგენს მოცივი, თხილი, პანტა, ველური ვაშლი. ბევრია ტყის გვიმრა.



სურ 75. ა) დოღურაში-III; სითბომოტვარული ტაქსონთა მტვრის მარცვლები: 1-რცხილა (*Carpinus betulus*); 2- ბელქვა (*Zelkova carpiniifolia*); 3,4 – წაბლი (*Castanea sativa*); 5 - წყალმცენარე

Pseudoschizeae -ს ზიგოსპორები; 6- წყალმცენარე *Zygnemataceae*-ს ზიგოსპორები; ბ) ოყურეში IIბ; არაპალინოლოგიური პალინომორფები: 1-3- სელის ქსოვილის ბოჭკოები; 4- ფიჭვის (*Pinus*) პარენქიმული უჯრედები; გ) ჭიქელაში Ia; ტყის გვიმრებისა სპორები და მტვრის მარცვლები: 1,2 – *Ophioglossum vulgatum*; 3-ტყის გვიმრა-*Polypodiaceae*; 4-*Pteridium aquilinum*; 4- *Botrychium lunaria*; pollen of *Betula*.

დოღურაშის თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში აისახა (სურ. 73,74), როგორც ლოკალური, ასევე რეგიონალური მცენარეულობა. სპექტრში ბევრია მურყნის (*Alnus*) მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი თხილის (*Corylus*), წაბლის (*Castanea sativa*), ცაცხვისა (*Tilia*) და რცხილას (*Carpinus betulus*) მტვრის შემადგენლობა. ბევრია ფიჭვის (*Pinus*), ხოლო ერთეული სოჭის (*Abies nordmanniana*) და ნაძვის (*Picea orientalis*) მტვრის მარცვლები, რომლებიც მთის ზედა კალთებიდან ქარის მიერაა ჩამოტანილი.

აღსანიშნავია, რომ წიდის პალინოლოგიურ სპექტრში არ დაფიქსირებულა დოღურაშის მიდამოების ტყეში დღეს არსებული წიფლის (*Fagus orientalis*), ნეკერჩხლის (*Acer*), მოცვის (*Vaccinium*), პანტასა (*Pyrus*) და ველური ვაშლის (*Malus*) მტვერი. ეს ფაქტი აიხსნება ამ მცენარეთა მტვრის დაბალი პროდუქციითა და ცუდი კონსერვაციული თვისებებით ან ბრინჯაოს ხანაში აღნიშნულ არეალში მათი არარსებობით (Klopotovskaia 1973; Kvavadze 1993; Filipova-Marinova at al. 2010).

ბალახოვნების ჯგუფიდან, თანამედროვე მცენარეულობაში ჭარბობს გვიმრების - გველის ენისა (*Ophioglossum vulgatum*) და გვიმრუჭას (*Asplenium*) სპორები. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი მარცვლოვნები (*Poaceae*), ნაცარქათამა (*Chenopodium*), მრავალძარღვა (*Plantago*), მიხაკისნაირები (*Caryophyllaceae*), ვარდკაჭაჭასებრნი (*Cichorioideae*), მატიტელა (*Polygonum*). ბალახოვნებში ბევრია აგრეთვე გველის ენისა (*Ophioglossum vulgatum*) და გვიმრუჭას (*Asplenium*) სპორები, რაც დღევანდელ რეალობას შეესაბამება.

დოღურაშის თანამედროვე ნიადაგის ნიმუშის არაპალინოლოგიური პალინომორფებს შორის დომინირებს სახამებელი და ხის მერქნის დაშლილი პარენქიმული უჯრედები. ბევრია სოკოს სპორები: ნაკელის სოკოს სორდარია (*Sordaria*), გლობუსი (*Glomus*), უსტულინა (*Ustilina*). უხვადაა მწერების მიკროსკოპიული ნაშთები. ცოტაა ფიტოლიტები, მარცვლოვნების ღეროების უჯრედები და მტკნარი წყლის წყალმცენარეები. ნაპოვნია მხოლოდ ბამბის ქსოვილის ორი ბოჭკო.

(2) ოყურეში I-ის თანამედროვე ნიადაგი. აქ გავრცელებულია ფართოთლოვანი ტყე რცხილას, წიფლისა და წაბლის მონაწილეობით. ბევრია მურყანი. ქვეტყეს წარმოადგენს იელი, თხილი, პანტა. კარგადაა განვითარებული ბალახოვანი საფარი, სადავ ბევრია გვიმრა.

თანამედროვე პალინოლოგიური სპექტრი საკმაოდ მდიდარია. ხემცენარეთა ჯგუფში უზვადაა სხვადასხვა სახეობის მურყნის (*Alnus*) მტვრის რაოდენობა (სურ.73), რომელთა შორის მრავლადაა ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*). იგი მთელ კოლხეთის დაბლობებსა და მთის ქვედა ნაწილის ხეობებში ვრცელდება. ნაკლები რაოდენობით გვხვდება ნაცარა მურყანი (*Alnus incana*), რომელიც მაღალმთაში იზრდება. ხემცენარეებიდან მეორე დომინანტია თხილი (*Corylus*). ასევე საკმაოდ ბევრია რცხილას (*Carpinus betulus*), ფიჭვისა (*Pinus*) და მუხის (*Quercus*) მტვრის მარცვლები. უფრო ნაკლებია წაბლის (*Castanea sativa*), წიფლის (*Fagus orientalis*), ცაცხვის (*Tilia*) მტვერი. კიდევ უფრო ნაკლებად ვხვდებით სოჭის (*Abies nordmanniana*), ნაძვის (*Picea orientalis*), თელას (*Ulmus*) მტვრის მარცვლებს.

ბალახოვანთა შორის ჭარბობს გვიმრების სპორები - გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*), მარგალიტა (*Botrychium lunaria*) და ასევე სხვა. სპექტრში განისაზღვრა ვარდკაჭაჭასნაირები (Cichorioideae), ნაცარქათამა (*Chenopodium*), ველური მარცვლოვნები (Poaceae), ქოლგოსნები (Apiaceae), ჩვეულებრივი მათიტელა (*Polygonum aviculare*), ჭარხლისებრნი (Borraginaceae), მრავალძარვა (*Plantago*), ისლიანები (Cyperaceae). აღინიშნება წყლის მცენარე შხაპრი (*Sparganium*) და ლაქაში (*Typha*).

არაპალინოლოგიური პალინომორფების სპექტრში ჭარბობს სოკოს სპორები და მათი სპორანგიუმები. გვარამდე განისაზღვრა ობის სოკო (Mucoraceae), სოკო გლომუსი (*Glomus*) და უსტულინა (*Ustilina*). საკმაოდ ბევრია სახამებელი და ხის მერქნის დაშლილი პარენქიმული უჯრედები. მცირეა ფიტოლიტები, მწერებისა და ტკიპების ნაშთები. განხილული ნიადაგის სპექტრში აღმოჩენილია პარაზიტული მახვილა ჭიის ენტერობიოსის (*Enterobius vermicularis*) კვერცხები.

(3) ოყურეში II-ის თანამედროვე ნიადაგის სინჯი და მისი პალინოლოგიური სპექტრი ასევე მდიდარია (სურ. 73, 74). აქაც დომინირებს მურყნის (*Alnus*) მტვერი. ბევრია ფიჭვისა (*Pinus*) და თხილის (*Corylus*), რცხილას (*Carpinus betulus*), წაბლის (*Castanea sativa*) და ნაძვის (*Picea orientalis*) მტვრის მარცვლები. გვხვდება სოჭის (*Abies nordmanniana*), ცაცხვის (*Tilia*), მუხისა (*Quercus*) და ტირიფის (*Salix*) ერთეული მტვრის მარცვლები.

ბალახოვნების ჯგუფში ჭარბობს გვიმრის სპორები. ასევე განისაზღვრა გვიმრუქას (*Asplenium*) სპორები. მცირე რაოდენობითაა ქოლგოსნების (Apiaceae), ჭარხლისებრნის (Borraginaceae), ვარდკაჭაჭასნაირების (Cichorioideae), ნაცარქათამისებრნის (Chenopodiaceae), მათიტელას (*Polygonum*) და ჩვეულებრივი მათიტელას (*Polygonum aviculare*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური პალინომორფების სპექტრში უხვადაა სახამებელი და სოკოს სპორები (სურ.2). მათ შორის ხორბლის სახამებელი. ასკოსპორების ჯგუფში განისაზღვრა სოკო გლომუსის (*Glomus*), უსტულინასა (*Ustilina*) და ნაკელის სოკოს - სორდარიას (*Sordaria*) სპორები. აღინიშნება დაუშლელი სპორანგიუმებიც. ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. აღინიშნება ბალახოვნების ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი მწერების ბუსუსები და მათი ეპიდერმისი. ცოტაა ტკიპების ბუსუსები. სპექტრში მცირე რაოდენობითაა მტკნარი წყლის წყალმცენარე სპიროგირა (*Spirogyra*), ხავსის ნაშთები, ბამბის ქსოვილის ცალკეული ბოჭკო (სურ. 74).

(4) ლუხვანოს (გვერდისთავი) თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიულმა კვლევამ აჩვენა, რომ აქ გავრცელებულია ოყურემის მსგავსი მცენარეულობა. ტყეში გვხვდება მურყნის, წიფელის, მუხის, წაბლის, ნეკერჩხლის და ცაცხვის ხეები. ლუხვანოს წიდეების პალინოლოგიური სპექტრისგან განსხვავებით, თანამედროვე ნიადაგის ნიმუშში (სურ. 73, 74) ნაკლებია ხემცენარეთა მტვრის რაოდენობა. საერთოდ არ გვხვდება მუხის (*Quercus*), თელას (*Ulmus*), ცაცხვის (*Tilia*), ტირიფის (*Salix*), წიფლისა (*Fagus orientalis*) და რცხილას (*Carpinus betulus*) მტვრის მარცვლები. სპექტრში ასევე ნაკლებია წიწვოვნების მტვრის შემადგენლობა. ბალახოვნებში, ისევე როგორც ყველა თანამედროვე ნიადაგი, უხვად შეიცავს გვიმრების სპორებს; განისაზღვრა გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*) და გვიმრუჭა (*Asplenium*). მცირე რაოდენობითაა ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*), ტუჩოსნები (*Lamiaceae*), ველური მარცვლოვნები (*Poaceae*), მატიტელა (*Polygonum*), ასტრა (*Aster*), მრავალძარღვა (*Plantago*).

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში პირველი დომინანტი სახამებელია, მეორე - ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები და მწერების მიკროსკოპიული ნაშთები. კარგადაა წარმოდგენილი სოკოს სპორები, სადაც განისაზღვრა სოკო გლომუსი (*Glomus*) და უსტულინა (*Ustilina*). არის სოკოს ჰიფები. მცირე რაოდენობითაა მცენარეთა ეპიდერმისი, ტკიპების ბუსუსები და ბამბის ქსოვილის ბოჭკო.

(5) ჭიქელაშის თანამედროვე ნიადაგის სინჯი. ჭიქელაშის ძეგლის ირგვლივ, დღეს ტყეში გავრცელებულია როგორც წიწვოვნები, აგრეთვე ფოთლოვანი მცენარეები; ბევრია იელი (*Rhododendron*), ნეკერჩხალი (*Acer*), მუხა (*Quercus*), მურყანი (*Alnus*), წაბლი (*Castanea sativa*), მაყვალი (*Rubus fruticosus*), იშვიათად გვხვდება უთხოვარი (*Taxus baccata*).

აღებული თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს მურყნის (*Alnus*) მტვრის რაოდენობა. საკმაოდ ბევრია წიწვოვნების მტვერი. ესენია სოჭი (*Abies nordmanniana*), ნაძვი (*Picea orientalis*), ფიჭვი (*Pinus*). ნაპოვნია აგრეთვე კვიპაროსისნაირთა (*Cupressaceae*), არყის (*Betula*), თელას (*Ulmus*), რცხილას (*Carpinus*

betulus), წაბლის (*Castanea sativa*), ნეკერჩხლისა (*Acer*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვნების ჯგუფში ჭარბობს გვიმრების სპორების რაოდენობა. განისაზღვრა გვიმრა გველის ენას (*Ophioglossum vulgatum*), გვიმრუჭას (*Asplenium*), და ეწრის გვიმრას (*Pteridium aquilinum*) სპორები. სხვა ბალახოვნებიდან ნაპოვნია ნაცარქათამას (*Chenopodiaceae*), მრავალმარღვას (*Plantago*), ველური და კულტურული მარცვლოვნების, ღიღილოს (*Centaurea*), ვარდკაჭაჭასნაირების (*Cichorioideae*), ავშნის (*Artemisia*), მიხაკისნაირების (*Caryophyllaceae*), მატიტელას (*Polygonum*) მტვერი.

არაპალინოლოგიური ნაშთებს შორის პირველი დომინანტი სახამებელია, მეორე კი სოკოს სპორები და მათი ჰიფები. განისაზღვრა სოკო გლომუსი (*Glomus*), უსტულინა (*Ustilina*), ბრახისპორიუმი (*Brachysporium*). აღინიშნება ნაკელის სოკოს სპორებიც. ესენია: პოდოსპორა (*Podospora*), სპორორმიელა (*Sporormiella*) და ცერკოფორა (*Cercophora*). ბევრია ხის მერქნის დაშლილი პარენქიმული უჯრედები, მწერების ნაშთები და ფიტოლიტები. ცოტაა მცენარეთა ეპიდერმისი, ბამბის ქსოვილის ბოჭკო და მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები.

თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური სპექტრი

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური სპექტრი ასახავს ლეჩხუმის რეგიონში დღეს არსებული მთის თითქმის ყველა ვერტიკალური სარტყლის მცენარეულობა. შესწავლილი ადგილებიდან ყველაზე კარგად დოღურაშის თანამედროვე ნიადაგის სპექტრმა აჩვენა ვიწროლოკალური, კონკრეტულ ადგილზე არსებული მცენარეულობა. თუმცა სპექტრში სუსტად, მაგრამ, მაინც დაფიქსირდა მთის ზედა კალთებზე გავრცელებული ტყის ელემენტების, წიწვოვნების - სოჭისა (*Abies*) და ფიჭვის (*Pinus*) მტვრის მარცვლები (სურ.75 ბ).

სინჯებიდან, მხოლოდ ოყურეშის თანამედროვე ნიადაგში აღმოჩნდა ტირიფის (*Salix*), ისლიანების (*Cyperaceae*) და მარცვლოვნების (*Poaceae*) მტვერი. მათი მტვრის მარცვალი ზოგადად ძალიან ცუდად ინახება. ეს ფაქტი ნიადაგის ქიმიური შემდგენლობით, კერძოდ კი მაღალი მჟავიანობითაა გამოწვეული (Moore et al. 1991).

აღსანიშნავია, რომ ჭიქელაშის თანამედროვე ნიადაგის სპექტრში არ ასახულა იელისა (*Rhododendron luteum*) და მაყელის (*Rubus*) მტვერი, რომელიც იქ მრავლად იზრდება. იელი დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მცენარეა, მაგრამ მისი დაფიქსირება დასავლეთ საქართველოს ნიადაგების სუბფოსილურ სპექტრებში ძალიან იშვიათია (Kvavadze 1993, Kvavadze, Stuchlik 1990; 2002).

ოყურეში I-ისა და ჭიქელაშის საიტებზე ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორების სიმრავლე გაკაფვის პროცესებზე მიუთითებს (Page 1986; Senyanzobe *et al.*, 2020), რაც დღესაც ნათლად ჩანს ამ ადგილებზე.

თანამედროვე ნიადაგის სპექტრში ყველა არქეომეტალურგიულ საიტზე აღმოჩნდა სოკო გლომუსი, რომელიც იზრდება მხოლოდ ფხვიერ ზედაპირზე და ეროზიული პროცესების ინდიკატორია (Chis Hunt *et al.*, 2007). გაანალიზებულ გვიანბრინჯაოს ხანის მასალაში არსად არ არის ნაპოვნი გლომუსი. რაც ნიშნავს, რომ განხილულ რეგიონში დღეს გვიანი ბრინჯაოს ხანასთან შედარებით მეტია ეროზიული პროცესები.

ჭიქელაშის, ოყურეშისა და დოღურაშის თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრებში აღმოჩენილი ნაკელის სოკოს სპორები სამოვრების არსებობას და მათ ინტენსიურ გამოყენებას ადასტურებს (van Geel and Artroot 2006). ჭიქელაშის სინჯებში ასევე განისაზღვრა სოკო პოდოსპორა, ცერკოფორა, სპორორმიელა და სორდარია (van Geel *et al.*, 2003; (სურ. 73)).

განხილული თანამედროვე პალინოლოგიური სპექტრების ანალიზი და სინთეზი აჩვენებს, რომ თანამედროვე ნიადაგებში კარგადაა არეკლილი ლეჩხუმის დღევანდელი მცენარეულობა, ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობა და ეროზიული პროცესები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური სპექტრები მკვეთრად განსხვავდება გვიანი ბრინჯაოს ხანის წილების ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპრექტრებისგან. ამის მაგალითია თანამედროვე პალინოლოგიურ სპექტრში ძელქვას მტვრის (სურ.75, ბ) წყალმცენარე ფსეუდომიზიასა და სხვა მტკნარი წყლის წყალმცენარეების ნაშთების არ არსებობა. პალინოლოგიური დიაგრამაზე ჩანს, სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები (სურ. 73, 74) რის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამარხი ნიმუშების დანაგვიანება არ მომხდარა თანამედროვე ნიადაგით.

გარემო პირობები და ადამიანის საქმიანობა გვიანბრინჯაოს ხანაში

გვიანი ბრინჯაოს ხანის წილების და ტექნიკური კერამიკის ორგანულმა ნაშთებმა მდიდარი პალინოლოგიური სპექტრი აჩვენა, რადგან მათში განისაზღვრა 21 ხემცენარისა და 28 ბალახოვნის მტვერი. დიდია აგრეთვე არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფი. აღნიშნული მასალა საფუძველს იძლევა, როგორც პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციების, ასევე გვიანი ბრინჯაოს ხანის ადამიანის საქმიანობის ხასიათის დადგენისთვის.

პალინოლოგიური ანალიზებით ჩანს, რომ დოღურაშის მიდამოებში გვიანი ბრინჯაოს ხანაში წაბლის ტყეები გაცილებით უფრო დიდ ფართობზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღესაა. სხვა ფართოფოთლოვან მცენარეებთან შედარებით უფრო მეტი იყო ცაცხვი, მუხა და რცხილა (სურ. 73). ჩრდილოეთ ფერდობებზე აღინიშნებოდა წიფელი, ტირიფი, ძაგვი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ დროს აქ ამ სიმაღლეზე იზრდებოდა ძელქვაც, რომლის მტვრის მარცვლებიც თანამედროვე ნიადაგის არც ერთ სპექტრში არ დაფიქსირებულა. წაბლი, ძელქვა, მუხა, ცაცხვი და რცხილა არის სითბომოყვარული ტაქსონები და ისინი მთელ ამიერკავკასიაში კლიმატური დათბობის კარგი მარკერებია (Kvavadze, Connor 2005; van der Knaap et al. 2010; Kvavadze and Bilashvili 2015). ფართოფოთლოვან ქვეტყეში იზრდება უამრავი ისეთი სითბომოყვარული გვიმრა, როგორცაა გველის ენა, გვიმრუჭა და სხვა ტყის გვიმრები. თბილი კლიმატის არსებობაზე ასევე მიუთითებს თერმოფილური წყალმცენარეების პსეუდომიზიას და სპიროგირას ნაშთები (Scott 1992; Kvavadze, Davadze 2014; Kvavadze et al. 2020), რომელთა რაოდენობა მაქსიმალურია დოღურაში III ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში. აღნიშნული წყალმცენარეები იზრდება დამდგარ/გაუმდინარე წყლებში (Medeanic, Silva 2010; Nabavi et al., 2013).

პალინოლოგიური კვლევით თითქმის ყველა ნიმუშში დაფიქსირდა დიდი რაოდენობით წაბლის (*Castanea sativa*), მურყნის (*Alnus*), რცხილისა (*Carpinus betulus*) და წიფლის (*Fagus*) მტვერი. მიღებული შედეგები ზუსტად დაემთხვა ოქსფორდის უნივერსიტეტში გაანალიზებულ წიდეებში აღმოჩენილ ნახშირის მაკრობოტანიკური ანალიზის შედეგებს (სურ. 73), რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის ლითონის სადნობ სახელოსნოებზე საწვავად იყენებდნენ წაბლს, მურყანს, რცხილასა და წიფელს. ცნობილია, რომ რცხილის და წიფლის ხის როგორც შეშა, ასევე ნახშირი საუკეთესო საწვავია, რადგანაც მათ ხანგრძლივი და მაღალი წვის ტემპერატურა აქვთ. რაც შეეხება წაბლის (sweet chesnut) და მურყნის შეშა არ იძლევა მაღალკალორიულ საწვავს, მაგრამ მათი ნახშირი არის საუკეთესო ხარისხის საწვავი (Heiss, et al. 2008, Schibler 2011, Jakobitsch et al. 2022).

არაპალინოლოგიურ პალინომორფებს შორის ყველა ძეგლზე დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ფიჭვის პარენქიმური უჯრედები რომლებიც ფიჭვის ბუნებრივად დაშლის შედეგად წარმოიქმნება (სურ. 75 ბ). ეს ახსნება იმით, რომ ფიჭვის ხეს მისი თვისებების გამო (მსუბუქი, რბილი მერქანი, შედარებით სწორი ტანი და ტენგამძლე, რადგანაც გაჯერებულია ფისოვანი ნაერთებით) სადნობ სახელოსნოებზე იყენებდნენ მსუბუქი კონსტრუქციების, თავშესაფრების, წყლის მილებისა და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად (Khakhutaishvili, 1987; Jakobitsch et al., 2022; Richter et al., 2004).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეტალურგიული საქმიანობისთვის ტყის გაკაფვას ადასტურებს თითქმის ყველა გაანალიზებულ ნიმუშში ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორების არსებობა. ეწრის გვიმრა ღია ლანდშაფტზე, გაკაფული მდელოებსა და ასევე ნახანძრალ ადგილებზე იზრდება (Senyanzobe *et al.*, 2020). ბუნებრივია, რომ მადნის მოპოვებას (firesetting), ასევე მის დნობას დიდი რაოდენობის ხე-ტყე ჭირდებოდა. სხვადასხვა სამთო მეტალურგიულ საიტებზე ჩატარებული კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე მიახლოებით გამოანგარიშებულია რა რაოდენობის ხე-ტყე იყო საჭირო სხვადასხვა მეტალურგიული აქტივობებისთვის. მაგალითად რიო-ტინტოს (ესპანეთი) მაღაროსა და სადნობ სახელწოდებულ ადმოჩენილი წიდეებზე ჩატარებული სტატისტიკური ანალიზით დახლოებით დადგინდა, რომ 10 მილიონი წიდის მისაღებად 20 მილიონი ტონა ნახშირი უნდა გამოყენებინათ, რომლის მისაღებად 100 მლნ. ტონამდე ხე-ტყე იყო საჭირო (Paul T. Craddock, 2010. P. 193). ასევე მაგალითად ჩერნიხმა (Chernykh, 1998a) დაიანგარიშა, რომ სამხრეთ ურალში ერთ ჰექტარი ტყის სრულად/მთლიანად გაკაფვისას მიიღება 250–270 კუბური მეტრი ისეთი შეშა, რომლისგანაც ნახშირი მზადდება. ეს ნიშნავს, რომ ერთი ტონა სპილენძის მეტალის გამოსაღებად საჭიროა 1,5-2 ჰექტარი კარგი ხარისხის ტყის გაჩეხვა. ამრიგად გამოთვლილია, რომ ბრინჯაოს ხანაში 150 000 ტონა სპილენძის წარმოებისთვის/დამზადებისთვის 3 000 მდე კვადრატული კილომეტრი ტყე განადგურდა კარაგლის რეგიონში (Kearney and O'Brien, 2014. p. 275).

ლეჩხუმში ტყის გაჩეხვას ასევე ადასტურებს პალინოლოგიურ სპექტრში სოკო უსტულინას სპორები (სურ. 75 გ). როგორც უკვე აღინიშნა უსტულინა იზრდება მხოლოდ მოჭრილი ხის მერქანზე (van Geel 1998). ტყის ინტენსიური კაფვა ზემოქმედებას ახდენს ლანდშაფტზე (Freire *et al.*, 2012); იწვევს გაუტყეურებას, დენუდაციას და ფერდობებიდან ნიადაგის საფარის ეროზიას (Craddock, 2010. P. 193). ეროზიული პროცესებისას ხდება ნიადაგების ტრანსპორტირება რაც ნიშნავს, რომ უფრო მეტი ქანთა ბუნებრივი გამოსავალი ჩნდება ზედაპირზე და მინერალიზებული ძაღვების პოვნის შანსებიც იზრდება.

დოღურაშის ტერიტორიაზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე მიუთითებს პალინოლოგიურ სპექტრში მარცვლოვნების და ხორბლის ნათესების სარეველა მცენარეთა მტვერი. ბევრია კულტურული მარცვლოვნების სახამებელი და მათი ფიტოლითები. კარგადაა წარმოდგენილი ადამიანის საცხოვრებელ ეზოების და გზის პირა სარეველების მტვერის მარცვლებიც. ამასვე ადასტურებს დოღურაში II სადნობი სახელოსნოზე სტრატეგრაფიულ ჭრილში დაფიქსირებული რამდენიმე კულტურული დონე (Sulava *et al.*, 2020; Sulava *et al.*, 2020 (a)).

ოყურეშის არქეომეტალურგიული ძეგლიდან მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიურ სპექტრებში ვლინდება იგივე კანონზომიერებები, როგორც

დოლურამისა. კარგად ჩანს ინტენსიური იმდროინელი ტყის გაჩეხვა ეწრის გვირის სპორების არსებობით. პალინოლოგიური სპექტრებში ასახული მცენარეულობა აქაც ადასტურებს მიწათმოქმედებას. თბილი კლიმატის არსებობას ფართოფოთლოვნების გარდა ადასტურებს სითბომოყვარულ წყალმცენარე პსეუდომიზიას ზიგოსპორები. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ნიადაგის სპექტრში აღნიშნული წყალმცენარე არ არის ნაპოვნი (სურ. 74).

ლუხვანოსა (გვერდისთავი) და ჭიქელაშის არქეომეტალურგიული საიტები, რომლებიც მთის ზედა კალთებზეა (1350-1450მ. ზღვის დონიდან) განლაგებული კარგად ასახავს გვიანი ბრინჯაოს ხანის მცენარეულობას. მათი წიდების პალინოლოგიურმა სპექტრებმა აჩვენა ტყის ზედა ზოლის ელემენტების - არყასა და ღვიას არსებობა (სურ. 73). როგორც ჩანს იმ დროს ამ მიდამოებში წიწვოვნებს გაცილებით უფრო დიდი ფართობი ეკავა, ვიდრე დღეს. სოჭისა და ნაძვის ტყის არსებობას ასევე ადასტურებს გვიმრა მარგალიტას სპორები, რომელიც მხოლოდ ამ წიწვოვნების ჭვემ იზრდება (Rivera *et al.*, 2012) (სურ. 75 გ).

ჭიქელაში, ისევე როგორც დოლურამის საიტებზე ადამიანის ხანგძლივად ცხოვრებისა და მოღვაწეობის კარგი მაჩვენებელია სპექტრში რუდერალურ მცენარეთა მტვრის არსებობა. ასევე ამის მაჩვენებელია სელის და სხვა ქსოვილის ბოჭკოების დიდი რაოდენობა, რაც სამოთოელების სამოსისა ან სხვა ქსოვილის ნამარხი ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. ბევრია აგრეთვე სათესი მარცვლოვნების სახამებელი, რაც ფქვილისა და ბურღლეულის ნაშთი უნდა იყოს. ძველი მეტალურგები ტყისგან გამონთავისუფლებულ ტერიტორიას, სავარაუდოდ იყენებდნენ ფარმინგისტვის, რასაც თბილი კლიმატური პირობები უწყობდა ხელს (Jakobitsch *et al.* 2022).

ლუხვანოში, ისევე როგორც დოლურამისა და ოყურეში დაფიქსირდა დამდგარი, მტკნარი წყლის ჰაბიტატების ფსეუდომიზია (Pseudoschizaea), სპიროგირა (Spirogyra), დინოფლაგელატა (Dinoflagellata) სპორები. მათი არსებობა გვიანი ბრინჯაოს პერიოდის სედიმენტების პალინოლოგიურ რეკორდში ნიშნავს, რომ სადნობი სახელოსნოების სიახლოვეს ტბა, ჭაობი ან ხელოვნური წყლის რეზერვუარი არსებობდა (Chis Hunt *et al.*, 2007). სადნობ სახელოსნოზე მომუშავე ადამიანებს მეტალურგიული წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მუდმივად ჭირდებოდათ წყლის რესურსი: მადნის მოპოვებისას, თიხის მოსაზელად ქურების, ტიგელების და საბერველი მილებისთვის, მეურნეობისთვის და სხვა (Knapp *et al.*, 2001p, p. 206). დღეს ლეჩხუმში აღმოჩენილი ყველა არქეომეტალურგიული ობიექტის სიახლოვეს პატარა-პატარა მდინარეთა ხევები და სასმელი წყაროები გვხვდება. მაგრამ ტბა ან ჭაობი ახლომახლო არსად არის. ჩვენი აზრით, კოლხი სამთოელები სახელოსნოებთან მდებარე გამდინარე წყლებს, მიმართულებას აძლევდნენ და სპეციალურად მოწყობილ

რეზერვუარებში აკავებდნენ, რითიც აიხსნება ზემოთხსენებული წყალმცენარეების არსებობა საანალიზე მასალაში.

კოლხეთისა და ზოგადად დასავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს დროის მონაკვეთის ნალექები პალინოლოგიურად კარგადაა შესწავლილი გეოლოგიურ ჭრილებში. ამ პერიოდის ფენებს ახლავს რადიოკარბონული დათარიღებები (Kaffke *et al.*, 2000; Kvavadze, Connor 2005; Arabuli *et al.*, 2007; Kvavadze, Bilashvili 2015). ისევე, როგორც ამ ჭრილებში ლეჩხუმის მასალაშიც ნათლად ჩანს კლიმატური დათბობა. ამ დროს მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება წაბლის ტყისა და სხვა სითბომოყვარული მცენარეთა ტაქსონების ფართობები. გაცილებით დიდი მნიშვნელობა ცენოზებში ძელქვას ჰქონდა (Kvavadze, Connor 2005). განხილული დათბობა მთელს ამიეკვაკასიაში ვლინდებოდა. მაგალითად, სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ზეგანზე, ზღვის დონიდან 1500-1900 მეტრ სიმაღლეზე არსებული გვიან ბრინჯაოს ხანით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიური კვლით დადასტურებულია მკვეთრი დათბობა. ამ პერიოდში იმდენად თბილი კლიმატური პირობები იყო, რომ მოსახლეობა აქ მევენახეობასაც კი მისდევდა, ხოლო მთები ფართოფოთლოვანი ტყით იყო დაფარული. დღეს აქ მხოლოდ მთის სტეპური ლანდშაფტია გავრცელებული (Kvavadze, Narimanishvili 2010; Kvavadze *et al.* 2010).

პალინოლოგიურმა კვლევებით ასევე დადგინდა, რომ ადამიანი მეტალურგიულ საქმიანობას ხანგრძლივად ეწეოდა და, ამავდროულად, მისდევდა მცირე სამეურნეო საქმიანობასაც – მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას, აგებდნენ მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობებს, აწყობდნენ წყლის მიწოდების სისტემას რეზერვუარების ასავსებად.

2.7 ნახშირების მაკრობოტანიკური ანალიზი

გასანალიზებელ ნახშირის ნიმუშებს შორის იყო როგორც მერქნის გული (საუკეთესო ნაწილია დასათარიღებლად) ასევე მრგვალი ხის ფრაგმენტები, რომელთა ქერქიც და გულიც კარგად იყო შემონახული; აღწერილი ნახშირის ფრაგმენტებში სახეობრივი მრავალფეროვნება საკმაოდ დაბალია, რომელთა შორის დომინირებს წაბლი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ყველაზე ხშირად საწვავად წაბლი გამოიყენებოდა, რაც პოტენციურად ნიშნავს, რომ ეს ხე დომინანტი იყო ადგილობრივ ტყეში, თუმცა ის ასევე შეიძლება მიზანმიმართულად იყო შერჩეული (ან ორივე ერთად). დაფიქსირდა ასევე სხვა სახეობის ფრაგმენტები – რცხილა, მურყანი და წიფლის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი დოღურაში II-დან (ცხრილი #5). რცხილა იზრდება საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე და ჩრდილისამტანი მცენარეა (ხშირად გვხვდება ტყის განაპირა ზოლში), მისი შეშაც და ასვე ნახშირიც იძლევა უაღრესად კალორიულ საწვავს. ხოლო მურყანი იზრდება ტენიანი გარემოში, უმეტესად მდინარეების და ნაკადულების გასწვრივ. მურყანი და წაბლის ხე არ იძლევიან ასეთ მდგრად/შენარჩუნებად სითბოს,

მაგრამ მათი ნახშირი საუკეთესო საწვავია (Jakobitsch *et al.* 2022; Ludemann 2011; Heiss *et al.* 2008).

ცხრილი # 5 ნახშირის კვლევის შედეგები ლეჩხუმში

ნიმუშის N	საიტი	ნახშირის სავარაუდო რაოდენობა	კონტექსტი	განსაზღვრა	14 C ნიმუში
RC-18-01	დოღურაში I	2 ფრაგმ.	1002	Castanea (წაბლი) 2, Beech (წიფელი) 1	Fagusx 1
RC-18-02	დოღურაში I	2 ფრაგმ.	1002	წაბლი (hw, sw)	Castanea sw x 1
RC-18-03	დოღურაში I	1 ფრაგმ.	1003	Castanea sativa (წაბლი) 1	Castanea x 1
RC-18-04	დოღურაში II	2 ფრაგმ.	1020	cf. Castanea 3 Alnus (მურყანი) 1	Alnus x 1
RC-19-02	დოღურაში II	2 ფრაგმ.		Carpinus sp. (რცხილა) rw, Alnus sp. (მურყანი)	Castanea sativa (sweet chestnut) (hw, sw)
RC-19-03	დოღურაში II	2 ფრაგმ.		Castanea sativa (წაბლი) (hw, sw)	Castanea sw x 1
RC-19-04	დოღურაში II	1 ფრაგმ.		cf. Castanea sativa	Castanea x 1 indeterminate maturity
RC-19-05	დოღურაში II	2 ფრაგმ.		Castanea sativa (rw)	Castanea x 1 moderate ring curvature
RC-19-06	ჭიქელაში	3 ფრაგმ.		Castanea sativa (sw, hw, rw)	Castanea rw x 1 strong ring curvature

შედეგები:

ამრიგად, ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გვანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ლითონის სადნობი სახელოსნოებისა და მის მიმდებარედ აღმოჩენილი მინერალიზებული ქანების მულტიდისციპლინური კვლევებით მივიღეთ შემდეგი ახალი მონაცემები მთიანი კოლხეთის უძველესი მეტალურგიის შესახებ:

- სადაზვერვო გეოლოგიური სამუშაოებით გამოვლინდა, რომ ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის სადნობი სახელოსნოები სივრცობრივად დაკავშირებულია ქვედა და შუა იურული ასაკის გაშლილი ზღვის

ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექ ქანებთან და მათი გამკვეთი ინტრუზიული სხეულების კონტაქტთან. კონტაქტის ზოლში დადგინდა მსხვრევის ზონები, ჰიდროთერმული შეცვლები და მადნიანი მინერალიზაციის პროცესები. გამაღწევა სუსტია, არათანაბარი/სპორადული და უკავშირდება მაგმურ-ჰიდროთერმულ აქტივობას, რომლის დროსაც ხდება ბზარებსა და ნაპრალებში კვარცისა და მადნეული მინერალების შეჭრა. აქ არსებული მადნეული მინერალებია: ქალკოპირიტი (CuFeS_2), სფალერიტი ($(\text{Zn,Fe})\text{S}$), გალენიტი (PbS) და პირიტი (FeS_2). მადნები ხასიათდება ძარღვული, მასიური, ჩანაწინწყლური, ზოლიან-კოლოფორმული და ბრეჩიული ტექსტურებით.

- წილების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად განისაზღვრა სამი სახის წიდა - მასიური (კვერისებური ფორმის), ნაღვენთები და ფირფიტისებრი წიდეები, რომლებიც ლითონის დნობის სხვადასხვა ფაზას შეესაბამება; ჩვენ მიერ შესწავლილ ლითონის სადნობ სახელოსნოებზე მძლავრი ფენების სახით ასევე გვხვდება ე. წ. ქვიშა-ხვინჭკოვანი წიდა, რომელიც მასიური და ნაღვენთის ფორმის წილების დაშლის/გადამუშავების შედეგი უნდა იყოს.
- ტექნიკური კერამიკის ტიპოლოგიური კვლევით დადგინდა: 1. ორი სახის ჰაერის საბერველი მილი - თხელკედლიანი და სქელკედლიანი; მილები დამზადებულია წითელი მსხვილმარცვლოვანი თიხისგან; მათ შორის გვხვდება ორნამენტირებული („გველისებური“) ეგზემპლარები. 2. ორი სახის ტიგელი (სადნობი ჭურჭელი) - დიდი ზომის სქელკედლიანი, შიდა კედლებზე და პირზე წიდის სქელი ფენით და შედარებით მომცრო ზომის თხელკედლიანი ტიგელის ფრაგმენტები, ლითონის დნობის კვალის გარეშე; ორივე სახის ტიგელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ნაცრისფერი ცეცხლგამძლე თიხისგან. ორი სახის საბერველი მილისა და ტიგელის არსებობა ლითონის დნობის ორ განსხვავებულ საფეხურს უნდა მიუთითებდეს.
- წილების პეტროგრაფიული კვლევის შედეგად გამოიკვეთა დნობის ორი ფაზა: 1. კრისტალური, რომელშიც ხშირია სპილენძის სულფიდების ან მეტალური სპილენძის ჩანართები და 2. მინისებრი ფაზა.
- წილების ტიპოლოგიური და პეტროგრაფიული კვლევის შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და გვიჩვენებს მათ დიფერენციაციას. კვლევის ამ ეტაპზე გამოიკვეთა ლითონის დნობის ორი ფაზა, რომლის დროსაც მიიღება: (1) მასიური, კვერის ფორმის წიდეები კრისტალური მიკროსტრუქტურით; (2) მსუბუქი, ფოროვანი - ნაღვენთი წიდეები მინისებრი მიკროსტრუქტურით. რაც შეეხება ფირფიტისებრ წიდეებს, მათი არსებობა მხოლოდ შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდით დგინდება.
- წილების შედგენილობაში არსებული ოლივინის (ფაიალიტის) კრისტალთა ფორმის ცვლილებების მიხედვით განისაზღვრა, რომ ლეჩხუმის გვიანბრინჯაოს ხანის დიდი ზომის კვერის ფორმის წიდეების გაგრილება გრძელდებოდა

საშუალოდ 24 საათის განმავლობაში, ხოლო ნალვენთი წილების გაგრილებას დაახლოებით 10-12 საათი დაჭირდებოდა.

- წილებში აღმოჩენილი კვარცის ჩანართები გაულღობელი მადანშემცველი ქანის ნარჩენები/რესტიტები უნდა იყოს, რომელიც დამახასიათებელია საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი მადნებისთვის და არ არის საგანგებოდ შერეული დანამატი ფლუსის სახით მდნარის გასამკვრივებლად/გასამყიფებლად და სწრაფად გასაცივებლად.
- მინერალიზებული ქანების რენტგენოფლუორესცენტრული და ატომურ აბსორბციული ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ პირველადი მადანი სპილენძ-თუთია ტყვია პიროტინულია. წილებზე ჩატარებული იგივე ანალიზის შედეგები და მათი კორელაცია მინერალიზებული ქანების შედეგებთან მადნისა და წილების ერთ გენეტიკურ წარმომავლობაზე მიუთითებს და ადასტურებს, რომ კოლხი მეტალურგები იყენებდნენ ადგილობრივ მადანს.
- წილებიდან ამოღებულ ნახშირებზე ჩატარებული რადიოკარბონული (14C) ანალიზების მიხედვით დოღურაში II ლითონის სადნობი სახელოსნო ძვ. წ. XIII-X საუკუნეებით, დოღურაში I - ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით, ხოლო გვერდისთავი - ძვ. წ. X-IX ს.ს.-ით თარიღდება.
- გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ჩატარებულმა პალინოლოგიურმა შესწავლამ, რომელიც კავკასიაში ამ ტიპის კვლევის პირველი მცდელობაა, დაადასტურა, რომ ლეჩხუმში ძვ. წ. XIII-IX სს-ში კლიმატური ოპტიმუმი იყო, რასაც მიუთითებს პალინოლოგიურ სპექტრებში მრავლად აღმოჩენილი სითბომოყვარული ხემცენარეები, გვიმრები და მტკნარი წყლის წყალმცენარეების ზიგოსპორები. გარემო პირობები - თბილი კლიმატი, ტყეებისა და მცენარეების სახეობები, სათანადო პირობებს ქმნიდა მეტალურგიული და პარალელურად ისეთი მცირე სამეურნეო საქმიანობისათვის, როგორცაა: მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობების მშენებლობა და წყლის მიწოდების სისტემის მოწყობა.
- წილებიდან მოპოვებული ნახშირების მაკრობოტანიკურმა ანალიზმა პალინოლოგიასთან ერთად, აჩვენა, რომ იმდროინდელი მეტალურგები საწვავად იყენებდნენ გარშემომდებარე ხე-ტყეს: წაბლს (*Castanea*), წიფელს (*Fagus*), რცხილას (*Carpinus*) და მურყანს (*Alnus*).
- უძველესი მადაროს კვალის დადგენა/გამოვლენა პრაქტიკულად შეუძლებელია რეგიონში არსებული ბუნებრივის პირობების (ხშირი მცენარეულობა და მძლავრი ნიადაგის საფარი) გამო. ვვარაუდობთ, რომ ადრეული მადანმოპოვებითი სამუშაოები უკავშირდებოდა ზედაპირულ თხრილებს და მათ დიდი მასშტაბი არ ქონდათ, რის საფუძველსაც გვაძლევს საკვლევ ტერიტორიაზე არსებული სპორადულად გავრცელებული მცირე სიმძლავრის მადნიანი ძარღვები, ლინზები და ბუდობები. თუ არ ჩავთვლით მდ. რთხმელებისღელის ვიწრო ხეობაში

არსებულ მრგვალ, ერთგვაროვანი გლუვი ზედაპირის მქონე მოკლე მადაროს, რომლის დათარიღება მასალის არ არსებობის გამო რთულია. ის აგებულია პრეისტორიული ხანის მადაროების მსგავსაა, საიდანაც მადნის ექსტრაქცია სავარაუდოდ ცეცხლისა და პრიმიტიული იარაღების საშუალებით ხორციელდებოდა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA



THE ARCHAOMETALLURGY OF COPPER IN THE MOUNTAIN REGIONS OF COLCHIS (LECHKHUMI-KVEMO SVANETI), GEORGIA: FROM ORE TO METAL

**Rusudan Chagelishvili, Nino Sulava, Nana Rezesidze,
Brian Gilmour, Tamar Beridze, Nika Tatuashvili**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

GEORGIA NATIONAL MUSEUM



Contents

Introduction	96
Aims	96
1 Fieldwork	98
1.1 Geological exploration	98
– Dogirashi ore occurrence	99
– Opitara-Okuresh ore occurrence.....	101
– The rivers Murisgele, Mokaulisgele and Dzugurisgele gorges	106
– The river Rioni gorge – Korvashi.....	110
– The results of exploration geological work	112
1.2 Archaeometallurgical reconnaissance	114
– Chikelashi.....	115
– Okureshi	121
– Shavbinula	125
– Gvimbrala	126
– Opitara	127
– Palinology	128
– Physical map with indication of metal smelting sites found in the Lechkhumi-Kvemo Svaneti region.....	131
2 Desktop studies	133
2.1 Typological investigation of slag and technical ceramics	133
2.2 Petrography analysis.....	140
– Slags petrography.....	140
– The results of slags petrography analysis.....	146
– The mineralized rocks petrography.....	149
– The rock petrography study results	156
2.3 Radiocarbon (C14) dating	157
2.4 X-ray fluorescence spectrometry (XRF)	158
2.5 Atomic absorption analysis (AAS)	159
2.6 Palynological analysis.....	162
– Results of artifacts palynological analysis	163
– Modern soil palynological analysis.....	172
– Macrobotanical analysis of charcoal	173
– Environmental conditions and human activity in Late Bronze Age	174
3. Results	177
References	179

Introduction

Over 200 deposits and surficial exposures of copper, arsenic, antimony and polymetallic deposits are known in Georgia according to geological data. Almost all descriptions of major ore deposits mention traces of earlier mining and processing. Particular regions include Abkhazia, Svaneti, Racha, Kakheti (Zemo Alazani) – all mining-metallurgical sites in the Great Caucasus mountains – and Bolnisi-Dmanisi and Adjara-Guria sites of the southern Lesser Caucasus range. Towards the north-west are the Abkhazia, Svaneti and Racha zones of copper mineralization, systems which run from the western part of the Caucasus range to the east as discontinuous, dispersed and smaller deposits not so suitable for modern exploitation.

Our study area the Georgian mountain region (Lechkhumi-Kvemo Svaneti) is central to the famous late Bronze Age metal culture of Colchis known for its metal artefacts (ingots, hoards anthropomorphic/zoomorphic figurines, weapons, other tools) (Caxapova, 1966). Some earlier mining traces have also been noted in the more open high mountain zone (at about 2500-3000m) further north (Upper Racha-Upper Svaneti) but little was known of the vegetation covered lower (at about 1000-2000m) slopes (Lechkhumi-Kvemo Svaneti) (Gobejishvili, 1962).

In 2013-2015 reconnaissance expeditions from the Georgian National Museum started to find previously unknown late Bronze Age copper smelting sites. These were all indicative of nearby prehistoric copper mining and processing. In 2016-2018 further investigations and initial geological reconnaissance was undertaken within the framework of Rustaveli Foundation project (#FR-16-217128). More than 20 probable late Bronze Age copper smelting sites were located, plotted and the Dogurashi group of sites partially excavated. Findings have included partially processed fragments of ore, ore roasting hearths, smelting furnace remnants, slag, crucible and other production debris. Radiocarbon dating at Dogurashi I has showed it to be operating between about the 13th and 9th centuries BC (Rezesidze, 2018).

Aims

The presented archaeometallurgical project aims identify, investigate and date recently discovered Late Bronze Age copper smelting industry in the mountain region of Lechkhumi-Kvemo Svaneti; establish links between ore extraction/mining and metal production; investigate mineralized rocks, metallurgical waste and artefacts using up-to-date analytical techniques; identify, establish and describe raw material sources for locally produced copper and ancient mines.

Analysis of available data on the geology and metallogeny of the region shows that all the archaeometallurgical sites that we have located in Kvemo (Lower) Svaneti and Lechkhumi are concentrated in the metallogenic belt (Tvalchrelidze et al., 1982) of the southern slope of the Greater Caucasus and include the Kvemo Svaneti and Racha-Lechkhumi ore fields (Natural Resources of Georgian SSR, 1958). All the existing ore deposits/occurrences occur in Lower and Middle Jurassic volcanic and volcano-sedimentary rocks and cross-cutting igneous hypabyssal bodies (Beridze, 1983). These are endogenic ore formations with copper-pyrrhotite-base mineralization (Ivanitski, 1954; Natural Resources of Georgian SSR, Vol. I 1958; Janelidze, 1965; Geology SSR, Vol. X, 1974).

Our study region is a part of the metallogenic belt of the southern slope of the Greater Caucasus and include Kvemo (lower) Svaneti and Racha-Lechkhumi ore fields (fig. 1).




Fig. 1. The map of tectonic and metallogenic zoning of Georgia (modified from Gamkrelidze, I., et. Al., 1998)

Intensive geological exploration and mapping of the mineralized areas was undertaken here in the past (1907-1990). According to the obtained results given in the final reports of these investigations the small-scale deposits systems localized in the study area were less suitable and of non-commercial value for ore extraction from the modern point of view. However, 30 year later, a license was issued in 2021 for the metallogenic exploration of the Rtskhmeluri ore field to assess its industrial potential. The majority of the investigated within the project

framework ancient smelting sites are the part of the Rtskhmeluri ore field. Signs of early exploitation of ores in the Lechkhumi-Kvemo Svaneti area are mentioned in many geological reports, however, less is known about conducted on this purpose geoarchaeological investigations.

Investigations conducted within the project framework are based on field exploration and desktop-laboratory studies.

1. Fieldwork

1.1 Geological exploration

Geological studies included geological investigation of the rocks in the vicinities of the prehistoric smelting sites, identification of known mineralization and sampling of alteration zones for analyses; landscape surveying to identify possible prehistoric mines.

Geological field exploration was undertaken in the Kvemo Svaneti and Lechkhumi regions in 2020-2022 which included the surrounding areas of villages Dogurashi, Opitara (rivers Rtkhmelebisgele and Shavigele), Okureshi (places Didlodebi and Satibebi), Rtskhmeluri (place Shavbinula), Gvimbrala (place Zhibe Moli), Gveso (place Chikelashi), Dgnorisa (place Korvashi), Lukhvano (place Gverdistavi) and the canyons of the rivers Murisgele, Mokvaullisgele, and Dzugurisgele (fig. 2).



Figure. 2. Satellite image of works carried out within the project framework

Mentioned above places are located in the valley of the Tshenistskali river, on the southern slopes of the western edge of the Lechkhumi ridge, the southeastern edge of the Egrisi ridge and the northwestern slopes of the Khvamli limestone massif, at an altitude of 700-1500 meters above sea level. The terrain here is fairly complex and dissected, with many deep ravines, and steep slopes (<60-70°) covered by dense broad-leaved forest and undergrowth. Existing natural conditions are unfavorable/difficult for mining-reconnaissance activities – identification of ancient archaeometallurgical sites and mines.

Two strongly mineralized areas were established within the study area as a result of geological exploration. Both of them were more or less suitable for observation of mineralization processes and sampling of mineralized rocks for the laboratory studies. These areas are: (1) The Dogurashi river gorge in the northernmost part of Lechkhumi, and (2) in the southernmost part - ore occurrence in the vicinities of villages Opitara and Okureshi.

(1) Dogirashi ore occurrence

Dogurash base metal/polymetallic ore occurrence is located in the river Dogurashi gorge (the right tributary of river Tskhenistkali), in the northernmost part of Tsageri municipality, at an altitude of 700-1200 meters above sea level and 4-5 km west of the Rtskhmeluri ore field. Archaeometallurgical sites of the Dogurashi group (Dogurashi I, II and III) were found here. The radiocarbon age of these sites was established as XIII-IX centuries BC. The first record about the Dogurash base metals ore manifestations/occurrences are found in the report of G. Barkalaya (1940). In 1952-1961 the group of the Institute of Geology, leading by V. Gvakharia, investigated the Rtskhmeluri deposits group, which includes the Dogurash ore occurrence (Chhikkishvili 1951; Ivanitski., 1954; Chkheidze., 1958-59 and etc.). The latest information about the Dogurashi ore zone can be found in the Doctoral thesis of T. Janelidze (1965). The analysis of all these reports has revealed that the Dogurashi ore occurrence perspective is not clear and due to limited/small-scaled exposures of mineralized veins/lenses the Dogurashi ore occurrence is of no practical/commercial interest.

The vicinities of the Dogurashi ore occurrence are made up by the Upper Liassic sandy-shaly rock strata (dip dir. SW >70-80°) cross-cut by quartz-porphyry and diabase intrusions (dykes and sills). Diluvium and alluvium is widespread in the gorges of the Dogurashi river and its

tributaries, as well as on the slopes of the gorges which are covered by dense vegetation. The latter makes difficult observation of rocks natural exposures.

On the left bank of the river Dogurashisgele, the zone of hydrothermally altered rocks was detected along the contact of the quartz-porphyry diorite (old soviet term – diabase) body and Lower Jurassic sandstones. Here, in the gorge of the third left tributary of the river Dogurashisgele the soviet period adit for exploration of base-metal ore was driven in the mentioned zone. The adit driven through quartz-porphyry diorites ($42^{\circ}40'41.4''N$, $42^{\circ}46'58.7''E$ h=743 m) and sandstones interception zone (in the way-up section the adit intersects shales as well). At the adit entrance and in the surrounding area of about 20-30 meters, the rocks are strongly altered – silicified, oxidized and sheared (the latter is mainly observed on the peripheries) (fig. 3). In the zone of alteration ore veinlets, nests and small lenses which are arranged along the contact zone, become smaller and finally pinch out, were defined. Their thickness varies from 0,10 to 15 cm. Ore minerals in the veinlets are represented mainly by pyrrhotite and minor amount of chalcopyrite and galena inclusions.



Figure 3. Soviet period adit and its environs – sampling area of mineralized rocks, NE of village Dogurashi

The main non-metallic minerals in the veins are quartz, rarely calcite. In the contact zone with the dyke sandstones and shales are pyritized. It is well-observed that the mineralization in the study area (observation point # 677) is characterized by uneven distribution and is not intense. It corresponds to open-space filling by hydrothermal fluids type of mineralization.

In order to investigate mineralization at Dogurashi and their comparison with artefacts found at The Dogurashi group of archaeometallurgical sites mineralized rock samples were collected from the soviet period adit and its vicinities for various type of analyses (see chapter: Desktop studies; abbreviation of Dogurashi samples – Dog/D).

(2) Opitara-Okuresh ore occurrence

The village Opitara is located in the extreme south of Lechkhumi, about 4 km from the Kutaisi-Tsageri highway, on the left bank of Tshnistskali river. Like the Dogurashi area, the Opitara village area is built up by Middle Jurassic strata – so called “bajocian porphyritic rocks” which are conformably overlain by the Cretaceous carbonatic sediments.

